სახალხო განათლება+

„ქვეყანად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა".
იოსებ ნონეშვილი

● №6 (4613) ● 18 ოქტომბერი ● 2023 წელი ● ● ● saxgani@gmail.com ● ფასი 2.00 ლარი

გილოცავთ! გილოცავთ! გილოცავთ!

აი, ასეთი მწამს დასაწყისი!

სოფელ დიღმის 210-ე სკოლელთა სიტყვა და საქმე

დიდი წარმატებისკენ თვალი უჭირავთ

ერთი მეგობარი შემხვდა და საყვედური მითხრა: მუდამ ქალაქის ცენტრის სკოლებზე რომ წერ, ერთი ჩვენსკენაც, სოფლელებისკენაც გამოიხედეო. ჰოდა, გამოვიხედე. პოეტი **ნაირა ნიჟარაძე** მოგვიწოდებდა: „წერე, იკითხე, იშრომე, არ მოადუნო კალამი!" ეს სტრიქონი ზედგამოჭრილია 210-ე სკოლის მასწავლებლებისთვის, რომელთაც პირწმინდად შეასრულეს ბიბლიური შეგონება: „საქმემან შენმან გამოგაჩინოს". გამოჩენილნიც არიან და მეტიც. პირდაპირ გეტყვით: დედაქალაქის პრესტიჟულ სკოლებს არაფრით ჩამოუვარდებიან, ბევრ რამეში წინ უსწრებენ კიდეც. ეს მხოლოდ იმის შედეგია, რომ ძლიერ კოლექტივს უძღვება ბრძენი, გამოცდილი, შემოქმედი დირექტორი **რუსუდან კეკელიძე**. მას მხარს უმშვენებს პროფესიონალი მოადგილე **მზია ხუციანიძე**.

ზოგად მსჯელობას ყოველთვის სჯობს თვალსაჩინო სტატისტიკა. ვეყრდნობით სკოლიდან მიღებულ ინფორმაციას.

* * *

გაკეთებული და გასაკეთებელი

თბილისის 210-ე საჯარომ სკოლა ერთ-ერთ უძველეს სოფელში, დიღომში, მდებარეობს და წლებია ღირსეულად ემსახურება მოზარდი თაობების აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

იგი სამართალმემკვიდრეა სოფელ მცხეთის სკოლისა, რომელიც 1916 წლიდან არსებობს. გადმოცემის თანახმად, სკოლის

მშენებლობა დააფინანსა ცნობილმა მეცენატმა **დავით სარაჯიშვილმა**, რომელიც თავად სოფელ დიღმის მკვიდრი იყო. სკოლა გაიხსნა მისი სახლის მიმდებარედ, ქუჩა, რომელზეც დღეს N210 საჯარო სკოლა მდებარეობს, დავით სარაჯიშვილის სახელობისაა. სკოლაში ასევე დავით სარაჯიშვილის სახელობის კლას-კაბინეტი ფუნქციონირებს. სკოლა ჯერ განათლების სამინისტროს სოფელ დიღმის საშუალო სკოლად იწოდებოდა, ხოლო 2006 წელს გახდა მცხეთის რაიონის სოფელ დიღმის საჯარო სკოლა. 2011 წლიდან იგი გახდა ქალაქ თბილისის N210 საჯარო სკოლა. მის გარდა სოფელ



დიღმის ზემო უბანში ფუნქციონირებდა დაწყებითი საფეხურის 4-კლასიანი სკოლა, გასული საუკუნის 90- იან წლებამდე სოფლების დიდგორისა და თელოვნის მოსწავლეებისათვის არსებობდა დამოუკიდებელი დაწყებითი სკოლა, რომელიც მოგვიანებით შეუერთდა სოფელ დიღმის საშუალო სკოლას. სკოლის დღევანდელი შენობა 2010 წელსაა აშენებული, მანამდე 1916 წელს აშენებულ შენობას იმის გამო, რომ სკოლა მზარდი იყო 1936 წელს მიემატა კიდევ ერთი ფლიგელი, ხოლო 1956 წელს კიდევ ერთი ფლიგელი გაიხსნა . დღეს ემსახურება გარდა დიღმისა, დიდგორის, თელოვნის და ვეძისის თემებს.

ახალი სასწავლო წელს დიდი შემართებით შევხვდით: 850 მოსწავლე სწავლობს, აქედან 82 პირველკლასელია, რომლებიც 3 კლასში არიან განაწილებულები. **ნანული მინდელი, ელზა თეთრაშილის** და **ეკატერინე გაბრიაძე** დიდი მონდომებით ემზადებოდნენ პირველკლასელთა მისაღებად. სკოლა პირველკლასელებს სწავლის დაწყებამდე შეხვდნენ. ხოლო 14 სექტემბერს მოეწყო საზეიმო მიღება პირველკლასელთა და მათი მშობლებისათვის. პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერის" ფარგლებში, ყველა პირველკლასელს პორტაბელური კომპიუტერი (ბუქი) გადაეცა. სკოლის ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილია სახელმძღვანელოებით, რომლებსაც უსასყიდლოდ გადასცემს მათ განათლების სამინისტრო. რამდენიმე წელია ჩართული ვართ „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის" პროგრამაში. 2023 წელი წარმატებული აღმოჩნდა. გვყავდა 11 ოქროს და 2 ვერცხლის მედალოსანი. სკოლის საბაზო საფეხურის 10 წარჩინებული კურსდამთავრებული ლეპტოპებით დაჯილდოვდა. მოსწავლე **სანდრო ყურაშვილი** წელს თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი გახდა, **დავით მძევაშვილი** - ევროპის ვიცეჩემპიონი. საქართველოს ჩემპიონატში წარმატებას მიაღწიეს და საერთშორისო ტურნირებზე გაიმარჯვეს: **იაკობ ქობულაშვილმა, ლუკა ბერიშვილმა, სერგი მერაბიშვილმა**.

წელს მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე ვდგავართ, რადგან ვმონაწილეობთ საქართველოში პირველად დაწყებულ პროცესში, რომელიც საჯარო სკოლების ავტორიზაციას შეეხება. სკოლამ უკვე გაიარა საჭირო პროცედურები და ახლა ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებას ელოდება.

სკოლას ხელმძღვანელობს გამოცდილი დირექტორი, წამყვანი მასწავლებელი **რუსუდან კეკელიძე**. ფასდაუდებელია დირექტორის მოადგილის მეცნიერებათა დოქტორის, წამყვანი მასწავლებლის - **მზია ხუციანიძის** ღვაწლი. გვყავს 13 წამყვანი და 27 უფროსი მასწავლებელი.

მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან კვალიფიციური სამედიცინო მომსახურებით. სკოლის ექიმ **ზოია ბუაძეს** არც ერთი მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გამოეპარება.

ჩვენი უფროსკლასელები გარდა ზოგადი განათლებისა, პროფესიული განათლების მიმართულებითაც დგამენ ნაბიჯებს, რასაც ჩვენი პარტნიორი ორგანიზაცია კოლეჯი **„იკაროსი"** უზრუნველყოფს. მოსწავლეები სწავლობენ კულინარიას, კონდიტერსა და სარესტორნე საქმეს.

სკოლის ცხოვრება არაერთი აქტივობითაა დატვირთული, მოსწავლეთა ნახატების პერსონალური გამოფენა, მხიარული სტარტები, მუსიკალური საღამოები, როდესაც სცენაზე ერთად დგანან შვილები და დედები, სკოლის ბიბლიოთეკაში ჩატარებული ლირტერატურული საღამოები, როდესაც პოეტი მშობელი მოსწავლე და მასწავლებელი ერთად წარდგა საზოგადოების წინაშე, დაუვიწყარი ზღაპრების ფესტივალი და სხვა მრავალი სკოლის მოსწავლეებისათვის დაუვიწყარი წლების ისტორიას წერს.

აი, ხედავთ რამდენი საქმე გაკეთდა სკოლაში - კეთილი და სასარგებლო. აი, ასეთია მათი სიტყვისა და საქმის ერთიანობა. გილოცავთ მასწავლებლის დღეს, 210-ე სკოლელებო, მშვიდობიანი, უსაფრთხო, უხვმოსავლიანი ყოფილიყოს თქვენთვის ეს სასწავლო წელი.

ბორის მიშველაძე,
საქ. დამს. ჟურნალისტი

ლეილა ვადაჭკორია

პირველი მასწავლებელი

რამდენი დრო გავიდა...
მაინც მახსოვს ახლაც
პირველი გაკვეთილის
საოცარი განცდა,

ჩემი მასწავლებლის
მშვიდი, სათნო სახე,
ფიქრიანი თვალები
სიყვარულით სავსე.

სულში როგორ გვწვდებოდა
ყველა მისი სიტყვა,
როგორ დაგვამეგობრა
„დედაენის" წიგნთან.

როგორ შემოდიოდა
ჩვენში ნება-ნება
ბუნების სიყვარული
და სამშობლოს მცნება.

როგორ შევციცინებდით
ჩვენს მზრდელსა და მოძღვარს,
მისი შეგონებანი
დღემდე როგორ მომყვა.

სარედაქციო განცხადება

პედაგოგთა უზარმაზარ არმიას გაზეთი არა აქვს

ჩვენი გაზეთი 95 წლისაა. იუბილე კი არა, სულს ღაფავს. კვაჭანტირაძის პრესსპიკერმა **გოკა გაბაშვილმა** მაშინ შარი მოგვდო, რეფორმას არ აშუქებთო. თავადაც არ იცოდნენ, რა რეფორმას ატარებდნენ და ხელები ჩვენზე შეიწმინდეს. შემდეგ ჩვენი დაკნინება გააგრძელა **ლომაიამ**, ხოლო **შაშკინმა** ხელი მთლად მოგვითავა. ასე რომ, განათლების მუშაკთა, **მასწავლებელთა უზარმაზარ არმიას გაზეთი არა აქვს.**

- აბა, „ახალი განათლება" რაღა არისო? — თავს წამოყოფს მავანი.

- კი, ბატონო, თუმცა ისინიც ჩვენს დღეში არიან, ოღონდ ერთი უპირატესობა მაინც აქვთ: განათლების სამინისტრო მათთვის უზრუნველყოფს სკოლებში, ბიბლიოთეკებში თითო ცალის გამოწერას და ამით „პურის ფული" უთუოდ აქვთ. წამლადაც რომ გინდოდეთ, საცალო ქსელში ამ გაზეთს ვერ იყიდი,

- ინტერნეტში წაიკითხეო! — გვირჩევენ.

კი, ბატონო, მაგრამ გამოჩენილ იუბილარ პედაგოგზე მინდა სტატია გავაკეთო, სამახსოვროდ რამდენიმე ცალი ვაჩუქო. უნდა ვუთხრა, ინტერნეტში შედი და იქ წაიკითხე მეთქი?

ვთხოვეთ დახმარება განათლების სამინისტროს. ხელი კულტურის სამინისტროსკენ გაიშვირეს, პრესა მათ ეხებათო.

შევადგინეთ საჭირო დოკუმენტაცია — პროექტი და მიღებაზე მივმართეთ მინისტრის მოადგილეს **კახა სიხარულიძეს.** რატომ მოადგილეს? იმიტომ, რომ იგი ორი წელი ჩვენი მთავარი რედაქტორი იყო. შეხვედრას ვინ ჩივის, ტრაფარეტული პასუხის ღირსადაც არ ჩაგვაგდო. ეტყობა, არ იცის ხალხური სიბრძნე: „კაცმა მარილი გთხოვოს, თუ არა გაქვს, მარილიანი სიტყვა მაინც უთხარიო".

თუ ვინმეს რამედ ულირს განათლება, ვთხოვთ დახმარებას, პირველ რიგში კი ეს ხელეწიფება მთავრობას და განათლების სამინისტროს. ვიქონიოთ იმედი!

გაზეთ „სახალხო განათლება+-ის" რედაქცია

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

49-ე სკოლა - ჩვენი მეგობარია

ბევრჯერ ვსტუმროობდი ამ სკოლას, ყოველ წელს უკეთესია

ეს სათაური ხალხური ლექსის პერეფრაზია. ულამაზესი შენობა ადრე ამიერკავკასიის ჯარების სარდლის ლევანდოვსკის რეზიდენცია იყო. აი, აქ დაიდო ბინა თბილისის 49-ე საჯარო სკოლამ, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნეა, თავის სახელოვან ისტორიას წერს წარმატებულად. მეოთხედი საუკუნეა, თუ არა მეტი, შრომისმოყვარე პედკოლექტივს უძღვება გამოცდილი, ერუდირებული პედაგოგი, მეცნიერებათა დოქტორი **ეკატერინე ცაავა**. მას მხარს უმშვენებენ ასევე ნიჭიერი მოადგილე **ია ჯიქია** და, რათქმა უნდა, პროფესიონალი, შრომისმოყვარე მასწავლებლები. ისინი არ უშინდებიან არც კოვიდს, არც სხვა პრობლემებს. არ მინდა ვრცელი შესავალი გამომივიდეს. გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო და კიდევ საქმემან შენმან გამოგაჩინოსო. სკოლა პატარაა, მაგრამ ხომ ვიცით, ოქრო ყველა ნივთზე ძვირფასია.

ვეყრდნობით სკოლიდან მიღებულ უტყუარ ინფორმაციას.

* * *

ყოველმხრივ მომზადებულნი

„**სკოლა** სრული მზადყოფნით შეხვდა ახალ 2023/2024 სასწავლო წლის დაწყებას, მოწესრიგდა სკოლის ინფრასტრუქტურა, საგულდაგულოდ გალამაზდა და მოირთო საკლასო ოთახები, მოეწყო საზეიმო მიღება პირველკლასელთათვის.

სსიპ - ქალაქ თბილისის N49 საჯარო სკოლას ხელმძღვანელობს გამოცდილ პროფესიონალთა გუნდი სკოლის დირექტორის, კარგი მენეჯერის, **ეკატერინე ცაავას** ხელმძღვანელობით. ის არის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მენტორი მასწავლებელი. დირექტორის მოადგილე - **ია ჯიქია** აქტიური პედაგოგი და უფროსი მასწავლებელი, რომლებიც მასწავლებლების პროფესიონალურ გუნდთან ერთად ქმნიან საუკეთესო გარემოს სწავლა განათლების მაღალი აკადემიური დონის მისაღწევად.

სკოლას გასული სასწავლო წლისთვის ჰქონდა მაღალი აკადემიური შედეგები - გვყავდა 8 ოქროს და ერთი ვერცხლის მედალოსანი საშუალო საფეხურის კურსდამთავრებული. ჩვენი მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული თითქმის ყველა სასკოლო და კლასგარეშე პროექტებში, კონკურსებსა და ოლიმპიადებში და მიიღეს მაღალი შეფასებები.

ახალმა მინისტრმა უკვე დაგვანახა სახელმწიფოებრივი ხედვა ზოგადი განათლების რეფორმის და პროფესიული პროგრამების განვითარების უზრუნველსაყოფად.

გვინდა ვუსურვოთ მთელ საქართველოს ნაყოფიერი 2023-2024 სასწავლო წელი!"

ამ მცირე ინფორმაციის უკან დიდი ენთუზიაზმი, ხელებდაკაპიწებული მუშაობა დგას. „აჰა, დიდების და სახელქების ასპარეზია თქვენთვის დაცლილი".

ჯანმრთელობას, დიდ წარმატებას გისურვებთ 49-ე სკოლელებო!

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

რედაქტორის მინაწერი: 27 სექტემბერი მასწავლებლის დღეა. ყველას გილოცავთ! პირადად კი ეკატერინე ცაავას, რადგანაც ღირსეულად იმსახურებს, თავაწეული სიამაყით, მიღწევებით ხვდება მას. აი, თუნდაც „მენტორის" სტატუსის მინიჭებით. მთავრობისაგან დაწესებული ჯილდოც შემატებოდეს.

რედაქციის სახელით დიდი მადლობა მას, რადგან მუდამ იყო და არის ჩვენი გაზეთის ქომაგი, დამხმარე. ჩვენი გაზეთი კი იუბილარია - წელს გახდა 95 წლის.

147-ე სკოლის სამოღვაწეო არეალი

ყველაზე დიდი და პროფესიონალებით მდიდარი

ახალი სასწავლო წელი ბრწყინვალედ დაიწყეს. ამაზე ისიც მიგვანიშნებს, რომ განათლების მინისტრი პირადად ეწვია და სწავლის დწყება მიულოცა.

ყველაზე დიდია სკოლა კონტიგენტით, პედაგოგთა რაოდენობით, მაღალპროფესიონალი კადრებით. თავად განსაჯეთ: ხუთი მენტორი მასწავლებელი არა მგონია, სხვა რომელიმე სკოლას ჰყავდეს. თავად დირექტორი, **ირინე წიკლაური** მეტად გამოცდილი ხელმძღვანელია. მას მხარს უმშვენებენ ერუდირებული, შრომისმოყვარე მოადგილეები: **ნათელა ფანცხავა** და **თეა შურღაია**.

ყოველივე ამაზე სჯობს სკოლიდან გამოგზავნილი ინფორმაციით ვიმსჯელოთ. აი, რა რესურსით და შედეგებით მოვიდნენ სექტემბერში: გაიხსნა 7 პირველი კლასი - ხელმძღვანელები: **ხატია დადალაური, მაია საყვარელიძე, ლია ქუტაშვილი, ნუნუ დავითიშვილი, ნინო კოჭლამაზაშვილი, ნათია ხიჯაკაზე, თინათინ აბრამიშვილი.**

მენტორი მასწავლებლები არიან: **ნანა ახობაძე, თინათინ ზარდიაშვილი, ლალი მექერიშვილი, მარინე წიკლაური, ელენე ჯანელიძე.**

გასულ სასწავლო წელს გამოვუშვით ოქროს მედალოსანი - 18, ვერცხლის მედალოსანი - 6

თვითმმართველობის ახლად არჩეული წევრების ინიციატივით სკოლაში შეიქმნა სხვადასხვა კლუბი, მათ შორის სამოქალაქო და სამრეწველო. გარდა ამისა, მათივე ინიციატივით განხორციელდა სხვადასხვა აქტივობა, როგორიცაა საშემოდგომო ღონისძიება / გამოფენა, რომელშიც აქტიურად ჩაერთვნენ სკოლის მოსწავლეები და თანამშრომლები. მათი ინიციატივით, მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციტივით ამჟამად, მიმდინარეობს საახალწლო პროგრამების სამზადისი და დეკემბრის ბოლოს სხვადასხვა კლასის მოსწავლეები წარმოადგენენ საკუთარ შემოქმედებას. თვითმმართველობა ზრუნავს მოსწავლეთა პრობლემების გადაჭრის გზების დასხვასა და სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნებაზე.

მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, სხვადასხვა საგანში მოეწყო გასვლითი გაკვეთილები, რომლის ფარგლებშიც ვიზიტები განხორციელდა მუზეუმებსა და სახელმწიფო დაწესებულებებში, ასევე მოსწავლეებმა მოინახულეს არქიტექტურული ძეგლები და სახანძრო მუზეუმი, პარლამენტი, ხელოვნების მუზეუმი და ა.შ.

ჩვენი სკოლის მოსწავლეების (**დავით ლაცაბიძე, გოჩა ხურციძე** და **ნიკოლოზ ხოჯაშვილი**, დამრიგებელი - **მაია ღვიანიშვილი**) მიერ შექმნილმა ვიდეოთამაშმა საპრიზო ადგილი მოიპოვა კონკურსში **„ჩემი თვალით დანახული აფხაზეთი"**.

კონკურსში **„ბავშვები ურჩევენ ბავშვებს"** მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სკოლების VI-IX კლასების მოსწავლეებმა, მათ შორის ჩვენი სკოლის მოსწავლემ **მარინე თეთრაშვილმა**.

X კლასის მოსწავლე - **თეკლა მანჯგალაძე** (ქართული ენის მასწავლებელი - **ნაირა მედოიძე**), კონკურსის - **„ვწერ თავისუფალ თემას"** პრიზიორი გახდა. მის მიერ დაწერილი თემა 32 საუკეთესოთა შორის შეირჩა (1300-ზე მეტ ნამუშევარს შორის) და მალე წიგნადაც (კრებულის სახით) გამოიცემა.

27-28 მაისს თჰე შოონერ თჰე Bეტტერ ჩეორგია-ს ორგანიზებით საქართველოს მასშტაბით ჩატარდა ინგლისურენოვანი გეოგრაფიული ოლიმპიადა, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩვენი სკოლის VIII კლასის მოსწავლეები: **ნინი მშვილდაძე, ნინო კორხელი, საბა ახვლედიანი, ნუცა პაპაშვილი** და **ლიზი კურტანიძე**. მათ წარმატებით იასპარეზეს ფინალში და ინგლისურენოვანი სერთიფიკატებიც მიიღეს.

ბატონმა **გიორგი ამილახვარმა** მინისტრად დანიშვნისთანავე გამართა შეხვედრები მასწავლებლებთან, სადაც განიხილეს ყველა ის საკითხი, რომელიც აწუხებდათ მასწავლებლებს. გარკვეული მიმართულებით ცვლილებები უკვე მოხდა, ასევე, ჩვენი ინფორმაციით, უახლოეს მომავალშიც განხორციელდება არაერთი ცვლილება, რაც უფრო გაზრდის საზოგადოებაში სკოლების ავტორიტეტსა თუ ავტონომიურობას.

ამ სტატისტიკის უკან ჩქეფს დაუღალავი და შემოქმედებითი შრომა მასწავლებელთა, ეფექტიანი ცხოვრება სკოლისა.

მასწავლებელთა დღეს გილცავთ, 147-ე სკოლელებო, ახალ წარმატებებს გისურვებთ!

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

ნომრის სტუმარია 106-ე სკოლა

სიახლეთა დანერგვის დიდოსტატები

თბილისის 106-ე საჯარო სკოლამ, 2023-2024 სასწავლო წელი, ტრადიციულად, წარმატებულად და საამაყო ამ-

ბებით დაიწყო: სკოლის ხელმძღვანელი, ბატონი **თენგიზ გულორდავა**, სწავლის პირველ დღეს, გულიანად შეეგება 1800 -მდე მოსწავლესა და მათ მშობლებს. საზეიმოდ მიულოცა სასწავლო პროცესის დაწყება და კიდევ უფრო მრავალფეროვანი, საინტერესო და საამაყო სასკოლო დღეები უსურვა მოსწავლეებსა და თავის გუნდს. ბოლო შვიდი წელია, რაც სკოლა უწყვეტ წარმატებულ და ნაყოფიერ მუშაობის ხანას გადის. ბოლო 7 წელია, რაც სკოლა 7 პარალელურ პირველ კლასს ხსნის. მრავალფეროვანი სასწავლო გარემო, რომელსაც ქმნის მაღალკვალიფიციური პედგოგთა გუნდი სკოლის ხელმძღვანელთან ერთად, მშობელთა ნდობას იმსხურებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სკოლა, თავის რეგიონში, ძალიან მოთხოვნადი გახდა და გაითქვა სახელი.

სასწავლო წლის დაწყების პირველ დღეს, სკოლის ხელმძღვანელმა , ბატონმა **თენგიზ გულორდავამ**, საზეიმოდ დააჯილდოვა სკოლის ღვაწლმოსილი მასწავლებელი, **ჟუჟუნა ხურციძე** და გადასცა "მასწავლებლის სახლის მიერ მინიჭებული - "დამსახურებული მასწავლებლის" მედალი და დიპლომი. სკოლის ხელმძღვანელმა, ასევე საჯაროდ მიულოცა სტატუსის ცვლილება სკოლის მასწავლებლებს: **ქეთევან მიქაძე** - მენტორი; **ჟანა ხარლაშვილი** - წამყვანი, **მაკა ბაჩანაძე** - წამყვანი, **თამთა ქვაჭრელიშვილი** - წამყვანი; **მაიკო გურასაშვილი** - წამყვანი, **მაია ზაალიშვილი** - წამყვანი, **თამუნა ზირაქაშვილი** - წამყვანი; **თეკლა ჯაფოშვილი** - უფროსი; **ნინო მინაშვილი** - უფროსი; **ნონა ღვინიაშვილი** - უფროსი; **ნატა მუშკუდიანი** - უფროსი. უსურვა კიდევ მეტი წარმატება პროფესიულ საქმიანობაში, აღნიშნა, რომ თითოეული მათგანის წარმატება 106-ე სკოლის ძლიერ გუნდს უფრო გააძლიერებს!

ბატონმა თენგიზმა, ასევე საზიემოდ დააჯილდოვა საბაზისო საფეხურის წარმატებულად დასრულებისთვის სკოლის წარჩინებული მოსწავლეები: **მარიამ ალადაშვილი, ლიზი მხატვრიშვილი, მარიამ ჩოფლიანი, ნინო მენთეშაშვილი, მარიამ გორდულაძე, ანანო სალაძე, ლეილა-ანნა ბესელია, მარიამ ბრეგვაძე** და გადასცა მოპოვებული პერსონალური კომპიუტერები.

აღსანიშნავია, რომ 2022-2023 სასწავლო წლის კურსდამთავრებულები დიდი წარმატებით ჩაირიცხნენ სხვადასხვა უნივერსიტეტებში და მოიპოვეს გრანტები.

თემურ კოკოზაშვილი - სრული დაფინანსება. **მამიკონიანი ინა, ბაქრაძე ნია,– ჯიბღაშვილი ქრისტინე, ქიმაძე ანამარია, მამალაძე ნიკა** - 50% გრანტების მფლობელნი გახდნენ. ამავდროულად, სკოლაც მედლებზე დაასრულეს.

ელენე კიკნაძე - აგრარული უნივერსიტეტი - ვეტერინარია - 50%. მედალოსანი **ანასტასია ჭამიაშვილი**.

გარსევანიშვილი ლიზი, მაკარიძე ანა, ნაცვლიშვილი გიორგი, ჟღენტი ნინო. ცუცქირიძე გიორგი და **მგალობლიშვილი სესილი**, რომელმაც 100%-იანი გრანტი მოიპოვა.

ესენი არიან ის მოსწავლეები, რომლებმაც სწავლის პერიოდში გვასახელეს და არაერთხელ გააცნეს საკუთარი სკოლა ფართო საზოგადოებას საკუთრი შესაძლებლობებით, მაგალითად, საგანმანათლებლო ფორმატის თამაშებში წარმატებული და გამორჩეული მონაწილეებით. მათი სასკოლო

ნინო მესროფაშვილი და **ვაკო სიჩევსკი** სამხატვრო აკადემია, არქიტექტურის რესტავრაცია-კონსერვაციის ფაკულტეტი,50% გრანტი, მედალოსანი **ლიკა გაბოძე** 50% გრანტი ივანე ჯავახიშვილის სამართალი. **ანანო ცხადაძე** 70 % გრანტი.

ცხოვრება მრავალფეროვანი, საინტერესო საგანმანათლებლო აქტივობებით დატვირთული და ნაყოფიერი იყო. მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის მხარდამხარ, ამ ადამიანებმა განსაკუთრებული და დაუვიწყარი სახელი დატოვეს 106-ე სკოლის კედლებში.

ჩვენ ვამაყობთ ამ მოსწავლეებით. სკოლის წარმატება, აღიარება, მუშაობის ხარისხი და არსებობის საჭიროება სწორედ რომ მოსწავლის წარმატებებით და მიღწეული შედეგებით დასტურდება.

ვინ რა პროფესიას აირჩევს, ეს მათი გადასაწყვეტია, თუმცა, ერთი რამ ცხადია, რომ ეს ადამიანები ივლიან გზით, რომელსაც საფუძვლად უდევს კეთილსინდისიერება და მამულის სიყვარული.

წარმატებები ამ შესანიშნავ ახალგაზრდებს ყველა კეთილი სურვილის განხორციელებაში!

ინა მეცხვარიშვილი

რედაქტორის მინაწერი: მის ღვაწლზე ბევრჯერ მისაუბრია: **თენგის გულორდავა** საოცარი შემოქმედი დირექტორ-პედაგოგია, ისეთი ორგანიზატორი, როგორიც იყვნენ და არიან: **გრიგოლ კობახიძე** (77-ე სკოლა), **ლიანა შეწირული** (კლასიკური გიმნაზია), **აკაკი კივილაძე** (მე-8), **დემურ კალანდაძე** (48), **მიხეილ მინდაძე** (161-ე) და სხვები. რედაქციის სახელით ვულოცავ მას მასწავლებლის დღეს, ასევე - პედკოლექტივს, ვუსურვებ მთავრობისგან ახალდაწესებული ჯილდოს პირველი ლაურეატი გამხდარიყოს! დიდი მადლობა ბატონ თენგიზს ჩვენს გაზეთზე ზრუნვის და უღალატო მეგობრობისთვის!

„სახალხო განათლება+" კი იუბილარია - 95 წლის გახდა.

განათლება განათლებაა

როცა საქმეს პროფესიონალები აკეთებენ

ბიბლიით, დასაბამიდან დედამიწაზე ერთადერთი ოჯახი ცხოვრობდა, მაგრამ ძმამ მაინც დაღვარა ძმის სისხლი.

ისტორიის მამდ ცხებული ჰეროდოტე წერდა, მამები უკმაყოფილონი არიან შვილებითო.

ახალგაზრდა წყვილს უკითხავს ვასილ სუხომლინსკისთვის, როდიდან დავიწყოთ შვილის აღზრდაო. რამდენი წლისაა თქვენი ბავშვიო, დაინტერესებულია იგი. სამისო, იყო პასუხი. მაშ, სამი წლით დაგგვიანებიათო, მიუგია დიდ პედაგოგს.

ანუ, სწავლა-აღზრდას საწყის-სასრული არა აქვს. კი, არის ოფიციალური ინსტრუქციები, მეთოდიკა, ცირკულარები, რეკომენდაციები, მაგრამ ყოველივე ამას შემოქმედებითად გააზრება, ყოველ აღსაზრდელზე მორგება და ასე განხორციელება სჭირდება, რადგან სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, შეიძლება ითქვას, უკიდეგანოა და პედაგოგი რაც უფრო მეტ თავისას, სულსა და გულში გამოტარებულს ჩააქსოვს მასში, შედეგიც მით უფრო უკეთესი იქნება.

ეს კარგად უწყიან კერძო სკოლა „თამარიონში", განათლების დარგის ღვაწლმოსილი, ამაგდარი მუშაკი, ქალბატონი გულნარა კვიციანი რომ უდგას სათავეში და რომლის დიდებულ მიღწევებზე, ყმაწვილების ქართული სულისკვეთებით აღზრდაზე რამდენჯერმე წერდა ჩვენი გაზეთი.

ამჯერად კი „ძირითადი სასწავლო-აღმზრდელობითი" პროცესის მიღმა გადავიხედოთ და ძალზე მოკლედ ჩამოვაყალიბოთ მოსწავლეტა ე. წ. არაფორმალურ განათლებაშიც როგორი აქტივობები ხორციელდება ამ მართლაც სანიმუშო სკოლაში.

შპს სკოლა „თამარიონში" დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეების არაფორმალურ განათლებას. სასწავლო წელი დატვირთულია სხვადასხვა არაფორმალური აქტივობით, რომელშიც მოსწავლეები დიდი ინტერესით ერთვებიან. თითოეული ღონისძიება მათ აძლევთ იმის შესაძლებლობას, რომ გაეცნონ საინტერესო თემებს, მეგობრებთან ერთად იკვლიონ სხვადასხვა საკითხი, იყვნენ თავისუფალნი. ეს ინტერესი ზრდის მოტივაციას, მოტივაცია კი მთავარი ინსტრუმენტია მოსწავლის აღზრდის პროცესში.

წინა სასწავლო წელს არაფორმალური განათლების მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებები ერთ პროექტში - **„საუკეთესო მომავლისთვის"** - გაერთიანდა. მას **ქეთევან ხაბულიანი** ხელმძღვანელობს და მთავარი მიზანი არაფორმალური და ფორმალური განათლების პოპულარიზებაა.

პროექტი მრავალ სხვადასხვა აქტივობას მოიცავს, რაც ძალზე გაგვიგრძელებს სიტყვას.

ამიტომ მხოლოდ რამდენიმეზე მოგახსენებთ.

სკოლაში ქველმოქმედება პრიორიტეტული მიმართულებაა. უკვე რამდენიმე წელია ყოველ გაზაფხულს საქველმოქმედო ბაზრობა იმართება. მასზე მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლების ხელნაკეთი ნივთები, აქსესუარები და მრავალი სხვადასხვა სახის პროდუქციაა წარმოდგენილი და მსურველს მათი დათვალიერება და შეძენა მთელი დღის განმავლობაში შეუძლია. არაფორმალური განათლების წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით მშობლებს. ისინი სკოლის თითოეულ წამოწყებაში მონდომებით ერთვებიან.

ამის მაგალითია ფონდი **„სიკეთე გადამდებია"**, რომელიც სკოლაში ერთი წელია მოქმედებს და პედაგოგების, მშობლებისა და მოსწავლეების ყოველთვიური შესაწირით ოთხშვილიან ოჯახებს პროდუქტებითა და საჭირო ნივთებით ამარაგებს. ფონდის იდეა სხვადასხვა ფორმით ყოველთვის არსებობდა, წელს კი მას სისტემატური სახე მიეცა და VIII1 კლასმა, დამრიგებელ **მაია ბარნაველის** ხელმძღვანელობით, ორგანიზებისა და ტექნიკური საკითხები იტვირთა.

მშობლების ჩართულობის კიდევ ერთი კარგი მაგალითია დაწყებითი საფეხურის კათედრის ყოველწლიური ღონისძიება „დედამიწა ზეიმობს გაზაფხულს". ეს აქტივობა მოსწავლეებში შემოქმედებითი და ესთეტიკური უნარების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მათი ინდივიდუალური განვითარებისთვის.

ყურადღების მიღმა არ რჩება მოსწავლეების აკადემიური თუ ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნება, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სოციალური და თანამშრომლობითი უნარები. ამ მიმართულებით უკვე წლებია იმართება იმიტირებული სასამართლო პროცესები, რომელსაც ნინო მოლაშხია უძღვება. აქტივობის ფარგლებში მოსწავლეები ირგებენ სხვადასხვა პროფესიას, როლსა და ფუნქციას.

დაწყებითი და საბაზო საფეხურების მოსწავლეების თაოსნობით და მასწავლებლების, **თეა იმერლიშვილისა** და **ქეთა დიდიშვილის** ხელშეწყობით გაიმართა შეხვედრა მწერალ **ნათია როსტიაშვილთან**. მოსწავლეებმა იმსჯელეს მწერლის თხზულებაზე და ავტორს შთაბეჭდილებები გაუზიარეს, სპექტაკლიც დადგეს. ცხადია, ეს მათი შინაგანი შესაძლებლობების გამოვლენას უწყობს ხელს. აღსანიშნავია, რომ არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებში ყველა მოსწავლე თანაბარი ინტერესით ერთვება, რაც მათი მომავალი წარმატების საწინდარია.

არაფორმალური განათლება რომ ფორმალური განათლების ხელისშემწყობია, ამის დადასტურებაა თითოეული აქტივობის დროს ცოდნის ტრანსფერი და შესაძლებლობა, მოსწავლე გახდეს დაკვირვებული, შემოქმედი, კრიტიკულად მოაზროვნე და წიგნიერი მოქალაქე. ამ მიზანს ემსახურებოდა საჯარო ლექციები სამოქალაქო საზოგადოებებსა და **ილია ჭავჭავაძეზე**, რომელსაც ამავე სკოლის კურსდამთავრებული, ახალგაზრდა აქტივისტი და მკვლევარი **რატი კობახიძე** უძღვებოდა.

წლეულს მოსწავლეებს სამოქალაქო განათლების მასწავლებლის, **თათია გურგენიძის** ინიციატივით, ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის წარმომადგენლები ეწვივნენ. მათ შეხვედრა გამართეს და სხვადასხვა საკითხზე იმსჯელეს.

თითოეული ეს აქტივობა ხელს უწყობს მოსწავლეების ემპათიურობას, მათში მხარდაჭერისა და ზრუნვის თანადგომის გამომუშავებას და აქტიურ მოქალაქეებად აღზრდას.

მაშ, „თამარიონს", ძირითადის გარდა, მის მიღმიერშიც ხელეწიფება მოსწავლეებს შესძინოს ის უნარ-ჩვევები, გაუფართოვოს ცოდნა, რაც ყმაწვილებს უცილობლად წაადგება ცხოვრებაში.

ეკატერინე გურგენიძე

სწავლაც, სპორტიც, ხელოვნებაც

103-ე სკოლის მრავალმხრივობა

103-ე საჯარო სკოლა გამოირჩევა და ამაყობს სწავლისა და აღზრდის მაღალი ხარისხით, პროფესიონალი პედაგოგებითა და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. წინა სასწავლო წელიც მოსწავლეების მნიშვნელოვანი აკადემიური, შემოქმედებითი თუ სპორტული მიღწევებით დაასრულა. ახალ სასწავლო წელს კი უფრო მეტი შემართებითა და მოტივაციით ვიწყებთ.

ნამდვილად საამაყოა, რომ 98 კურსდამთავრებულიდან – 59 საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სტუდენტი გახდა, მით უფრო, რომ 5-მა მოსწავლემ 70-%-იანი დაფინანსება მოიპოვა, 5-მა – 50-%-იანი, ორმა მათგანმა კი – **თამარ თუთარაშვილმა** და **ანა საბანაძემ** სკოლა ოქროს მედლებით რომ დაასრულეს, ეროვნულ გამოცდებზე 100-%-იანი სახელმწიფო გრანტი მიიღეს. საშუალო საფეხური წარმატებით დაასრულა ოთხმა მოსწავლემ, რომლებსაც ჯილდოდ ლეპტოპები გადაეცათ. გვიხარია, რომ ამ წარმატებების შესაბამისად, მოსწავლეების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება: ბოლო ხანს ეს რიცხვი 530-დან – 1230-მდე გაიზარდა, მათგან 145 პირველკლასელია, რომლებმაც სკოლის კედლებში პირველად შემოაბიჯეს, რითაც მათმა მშობლებმა ამ თორმეტწლიან გზაზე საუკეთესო განათლების მისაღებად ჩვენი სკოლის პედაგოგებს სრული ნდობა გამოუცხადეს.

თუმცა, ჩვენთვის სკოლა მხოლოდ აკადემიური განათლების კერა არ არის. ეს არის სივრცე, სადაც თანაბარი ყურადღება ექცევა მოსწავლეების სპორტულ და შემოქმედებით განვითარებასაც. წარმატებით მოქმედებს 11 სხვადასხვა წრე, რაშიც 300-მდე მოსწავლეა ჩართული და ეს ჩართულობა გასულ წელს არა მხოლოდ სამოყვარულო დონეზე, შესაბამისი მიღწევებით, პროფესიონალურ ასპარეზზეც გამოვლინდა.

დავაკონკრეტოთ: მე-12 კლასის მოსწავლემ **დავით ფაროიანმა** კიკბოქსინგში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ტანვარჯიშში გამართულ საერთაშორისო ტურნირში მეორეკლასელი **მაია გოცირიძე** პირველი იყო; ასევე, პირველი ადგილზე გავიდა მე-6ა კლასის მოსწავლე **დავით ფარცვანია**, რომელმაც ჭადრაკში მოზარდთა კატეგორიის ტურნირში გაიმარჯვა. ხოლო მე-5 დ კლასის მოსწავლე **თეკლა ღარიბაშვილი** სამეჯლისო ცეკვების ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებულია.

მოსწავლეები გუნდურ სპორტის სახეობებშიც წარმატებულები არიან, სახელდობრ, ფრენბურთელ გოგონათა გუნდმა სასკოლო ტურნირში „ისნის თასი – 2023" პირველი ადგილი, ხოლო ვაჟების გუნდმა მე-2 ადგილი დაიკავა. წარმატებულები ვართ ფეხბურთშიც, რაშიც დებმა, **ლიზი** და **მარიამ კაკულიებმა** გვასახელეს და საფეხბურთო კლუბ სოხუმის „დინამოს" რიგებს შეუერთდნენ.

სპორტულ წარმატებებში დიდია სპორტის პედაგოგების წილი. დასტურად, **ეკა ყარყარაშვილი** ჟიურიმ საუკეთესო მწვრთნელად დაასახელა.

სპორტთან ერთად, მნიშვნელოვანი წარმატებები გვაქვს კულტურის სფეროში, სკოლის ანსამბლმა ,,კოკროჭინამ", **ნინო მიჯახტაშვილის** ხელმძღვანელობით, მონაწილეობა მიიღო ფესტივალში, სახელწოდებით: „იპოვე ვარსკვლავი შენი" და ოქროს მედალი და ლაურიატის წოდება მოიპოვა. დიდ წარმატებას მიაღწია სომხური ცეკვის ანსაბლმა **„ანიმაც"** – ბულგარეთის ქალაქ ვარნაში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე მე-2 საპატიო ადგილი დაიკავა. ქართული ცეკვის ანსაბლმა კი, რომელსაც **გიორგი ბერუაშვილი** ხელმძღვანელობს, ქალაქ ბათუმში გამართულ საერთაშორისო ფესტივალ-კონკურს „ოქროს არგოში" პირველი ადგილი მოიპოვა.

ვინაიდან ჩვენი სკოლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა დავამკვიდროთ და შევინარჩუნოთ აღზრდისა და სწავლების მაღალი ხარისხი, ვცდილობთ, მოსწავლეებს რაც შეიძლება მეტი მოტივაცია და ენთუზიაზმი ჩავუნერგოთ. ამაში კი, კარგ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასა და კვალიფიციურ პედაგოგებთან ერთად, სკოლაში სპორტითა და ხელოვნებით დაინტერესებულ მოსწავლეთათვის შექმნილი კარგი გარემოპირობებიც გვეხმარება.

მაია ხარატიძე,
თბილისის 103-ე საჯარო სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის კოორდინატორი

140-ე სკოლელებმა უკვე ჩაუყარეს საძირკველი გამარჯვებას

ადვილია შენი ნახვა - დავიწყება არის ძნელი

ეს სათაური ქუთაისელთა საყვარელი სიმღერაა. ასეთი შთაბეჭდილება გამოგყვებათ 140-ე სკოლიდან. მისი იერ-სახე, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა მართლაც ამშვენებდა სწავლის დაწყებას. ეს ყოველივე არის ნაყოფი სკოლის ხელმძღვანელობის, ძლიერი პედკოლექტივის ოფლგამომდინარე შრომისა. უნებურად მახსენდება ნონეშვილის სტრიქონები, ოღონდ გარკვეული პერეფრაზით: „სულ მზესავით ბრიალებს კოხტა სკოლა ჩვენი, აქ აღზრდილი თაობები მთელ ქვეყანას შვენის".

მეტად გამოცდილი ორგანიზატორი და დირექტორია **ნინო ასანიძე**, ყველა სიახლეთა ინიციატორი. შემოიკრიბა, დარაზმა პროფესიონალები.

საინტერესო ბიოგრაფია აქვს ქალბატონ ნინოს: 85-ე სკოლიდან თავისი მდიდარი გამოცდილება აქ გადმოიტანა. აქ კი მხარს უმშვენებს მას გამობრძმედილი მოადგილე **მარინე ჯაში**.

მოდით, საქმით დავიწყოთ. სკოლიდან მიღებული ინფორმაცია იქნება ჩვენი მეგზური.

* * *

როგორ მოვემზადეთ და რას ვაპირებთ

ქალაქ თბილისის N140 საჯარო სკოლამ ახალი 2023 — 2024 სასწავლო წელი პედაგოგების/ თანამშრომლების და სრულად სასკოლო საზოგადოებისთვის პოზიტიური განწყობით დაიწყო. სკოლას მონატრებული მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო რეაბილიტირებული სკოლის შენობაში სასწავლო პროცესის განახლება.

მასწავლებლები დირექციასა და მოსწავლეთა მშობლების აქტიური ჩართულობით შეუდგენენ ერთობლივად შედგენილი სკოლის ახალი სტრატეგიული განვითარების გეგმის / მიზნების განხორციელებას.

ბევრ სიკეთესთან ერთად გამოვყოფდი სასკოლო კულტურას, კეთილგანწყობილ, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ, უშუალო, ოჯახურ გარემოს, რომლის ფორმირებას განსაკურებულად უწყობს ხელს მოსწავლეთა რაოდენობა (800 - მდე მოსწავლე), მასწავლებელთა კომპეტენცია და კვალიფიკაცია (2 მენტორი მასწავლებელი, 1 საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, 7 წამყვანი, 35 უფროსი მასწავლებელი), მშობლებთან და თემთან პოზიტიური კომუნიკაციაა...

გასულ 2022 — 2023 სასწავლო წელს სკოლა დაასრულა 52 - მა მოსწავლემ აქედან 5 ოქროსმედალოსანმა, ხოლო საბაზო საფეხურის წარჩინებით დასრულებისთვის 7 მოსწავლეს საჩუქრად გადაეცა ლეპტოპი. მე-10 კლასის მოსწავლეებისათვის ჩატარდა შიდა სასკოლო კონკურსი სახლეწოდებით: **„ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს".** ღონოსძიების მიზანი პოემისადმი ინტერესის გაღვივება,თანამედროვეობასთან დაკავშირებაა.მე-5 კლასში ჩატარდა კალიგრაფიის კონკურსი. მისია მიზანია ქართული ასეოების სილამაზისა და სინატიფისადმი ყურადრების გამახვილება.თვეში ერთხელ ტრადიციად გვექცა კლასგარეშე საკითხავის დღე.მოსწავლეები წარმოაჩენენ წაკითხულ მხატვრულ ნაწარმოებებს,მათი



საყვარელი მწერლებისა და პოეტების ბიოგრაფიებს. მოეწყო მოსწავლეთა ნახტების გამოფენა. მე-4 კლასში ჩატრდა დედაენის დღესთან დაკავაშირებით მხატვრულ-შემეცნებითი ღონისძიება. ამ ღონისძიებებს ესწრებოდნენ მოწვეული მშობლები,რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში.

ამ მოკლე ანოტაციამ არ შეგაშინოთ, მკითხველნო, რადგანაც მის უკან მუხლჩაუხრელი შრომა დგას სკოლის დირექციისა, თითოეული პედაგოგისა, სკოლის მუშაკისა. ყველას ვერ ჩამოთვლი, არადა ყოველივე მათგანი ქების ღირსია. გამოგრჩება ვინმე და გული დაწყდება. დღესაც ცოცხლობს ჩვენი წესი, „უჩემოდ ვით იმღერეთას" სინდრომი, თორემ მეც მშვენივრად ვიცი, რა სასწავლო-აღმზრდელობითი, ასევე სახელოვნებო ღონისძიებების ტრადიცია არსებობს აქ. თუ შანსი მოგვეცა, ვრცლად გავაშუქებ მოსწავლეთა ჩართულობა-აქტივობებს (მხატვრული ღონისძიებები, კონფერენციები, კონკურსები, სპორტული თემატიკა და სხვა).

მოდით, ჯერ ამას დავჯერდეთ, კოლეგებო, თორემ „კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაულეველი"... მალე აღვნიშნავთ „მასწავლებლის დღეს". გილოცავთ მას ყველა სკოლის მუშაკს, ყველა მასწავლებელს, რადგანაც „ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა".

გისურვებთ ჯანმრთელობას, უსაფრთხო, მშვიდობიან, ბარაქიან სასწავლო წელს,140-ე სკოლელებო"

ბორის მიშველაძე,
დამსახურებული პედაგოგი

150-ე ბაგა-ბაღში

პატარებს ჩინებული ზეიმი მოუწყვეს

ახალ სასწავლო წელს, დედაქალაქის ბაგა-ბაღებში ყოველთვის სიახლეებითა და გაუმჯობესებული გარემოთი ხვდებიან. გამონაკლისი არც 150-ე ბაგა-ბაღია, სადაც აღსაზრდელებს კეთილმოწყობილი გარემო დაახვედრეს და საზეიმო, მხიარული ღონისძიებაც მოუწყვეს. დირექტორი **მზია მეტრეველი** უკვე, მრავალი წელია ძალ-ღონეს არ იშურებს, რათა აღსაზრდელებს კომფორტული და კეთილსაიმედო ატმოსფერო შეუქმნას. მას მხარში უდგანან აღმზრდელები და მთელი პედკოლექტივი, რომლებიც ერთობლივი ძალისხმევით შესანიშნავ შედეგებს აღწევენ. ამ საბავშვო დაწესებულების სიახლეებზე და განხორციელებულ პროექტებზე თავად დირექტორი გვესაუბრება.

მზია მეტრეველი: თავდაპირველად, ბაგა-ბაღის გახსნამდე, მოსამზადებელი პროცედურები დაიწყო და მასში ჩართული იყო მთელი კოლექტივი. აღნიშნული სამუშაოები მოიცავდა, როგორც ჰიგიენური საკითხების ორგანიზებას, ისე რიგი ადმინისტრაციული წესების მოგვარებას, როგორიცაა ჯგუფების ხელახალი დაკომპლექტება, აღმზრდელებთან თათბირი, სიახლეების გაცნობა, დარგის კოორდინატორებთან კონსულტაციები და სხვა. რაც შეეხება გახსნის დღეს... ეზოს გაფორმების პროცესი, საგანმანათლებლო დარგის კოორდინატორმა **ნინო ზაუტაშვილმა** რამდენიმე დღით ადრე დაიწყო. ბავშვებს ბაგა-ბაღის ეზოში ულამაზესი გარემო დახვდათ. ირგვლივ მხიარული მელოდიები ისმოდა. ეზო თანდათან ბავშვებით და მშობლებით გაივსო. საზეიმოდ აღიმართა საქართველოს სახელმწიფო დროშა და შესრულდა ჰიმნი. ღონისძიება მოწვეული ანიმატორების პროგრამით გაგრძელდა. პატარები კი უსაზღვროდ ბედნიერები იყვნენ. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ბაგა-ბაღის ფეისბუქ-გვერდი, აქტიურ რეჯიმში ახორციელებს ჩატარებული აქტივობებისა თუ პროექტების ანონსს და ზემოხსნებული თემატიკის გაცნობასაც. ჩვენს ვებ-გვერდზე, ტექსტურ ანოტაციასთან ერთად, ასევე, არაერთ ფოტო თუ ვიდეომასალას იხილავთ. რაც შეეხება საბავშვო ბაღის ინფრასტრუქტურას, იგი მოწესრიგებულია. მაქსიმალურად ვიზრუნეთ, რომ HASSP-ის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოგვეყვანა, რაც ავტორიზაციის პროცედურებთან უშუალო კავშირშია. აღნიშნულის განხორციელებას კი, დაეთმო ზაფხულის არდადეგები და თამამად შეიძლება ითქვას, დადგენილ ვადებს მოერგო. სარემონტო სამუშაოები მოიცავდა სამზარეულოს სივრცის რეკონსტრუქციას, წყალგაყვანილობისა და განათების ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, ამ პროცესებში ბაგა-ბაღის პერსონალის ჩართულობა, რომლებიც ბოლო დღემდე ჩვენს გვერდით იდგნენ და გვეხმარებოდნენ. ახალი სააღმზრდელო წლის სამზადისში აქტიური მხარდაჭერისთვის, ბაგა-ბაღების სააგენტოს თანადგომით ძალიან კმაყოფილი ვართ და მადლობას ვუცხადებთ მის ხელმძღვანელობას და მთელ კოლექტივს.

სასწავლო-აღმზრდელობითი კუთხით სიახლეა ის, რომ ავტორიზაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ცვლილებებია შესული დოკუმენტაციის წარმოებაში, რაც მოიცავს საქმიანობების (ჯგუფში და პერსონალთან მიმდინარე აქტივობების) დამადასტურებელ დოკუმენტაციის წარმოებას და ფოტო-მასალით ასახვას.

წელს 150-ე ბაგა-ბაღში **„სასკოლო მზაობის"** 2 ჯგუფია, სადაც 52 აღსაზრდელია. საბავშვო დაწესებულება დაკომპლექტებულია

მაღალკვალიფიციური კადრებით. ყველა ჯგუფს ჰყავს პროფესიონალი აღმზრდელი და თანაშემწე. გსმ საჭიროების მქონე აღსაზრდელისთვის გამოყოფლია სპეციალური კადრი, ასისტენტი, რომელიც კონკრეტულ ჯგუფშია მიმაგრებული აღნიშნული კატეგორიის აღსაზრდელთან და მასზე ზრუნავს მთელი დღის განმავლობაში. ბაგა-ბაღს ემსახურება მულტიდისციპლინარული გუნდი, რომელიც კოორდინირებულად და შეთანხმებულად მუშაობს არამხოლოდ გსმ არამედ, ყველა აღსაზრდელის ადაპტაციის პროცესში ჩართულობაზე.

აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებით, სააღმზრდელო წლის დაწყებამდე, ფსიქოლოგებმა ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრა აღმზრდელებთან, რომელიც მიმდინარეობდა დისკუსიის რეჟიმში. თვალსაჩინოებისთვის კი, გამოყენებული იყო ვიდეორგოლები ისეთ თემებზე, როგორიცაა: **ტრანზიციის სირთულეები ბავშვებში; მშობლის როლი ბავშვის ბაღისთვის მომზადებაში; თამაში და მათი თავისებურებები სხვადასხვა ასაკობრივ ბავშვებში; დეპრესია და მისი ამოცნობა სკოლამდელ ასაკში.**

დირექტორის თქმით, საჭირო და საქმიანი შეხვედრების გარდა, სისტემატურად იმართება სხვადასხვა აქტივობა და შემოქმედებითი ღონისძიება. ახალი სააღმზრდელო წლის მობილიზებულად და სანიმუშოდ შესახვედრად, საგანმანათლებლო დარგის კოორდინატორმა **ნინო ზაუტაშვილმა** დიდი შრომა გასწია. მისი თაოსნობით მოეწყო ნაყოფიერი შეხვედრა სააღმზრდელო დარგის პერსონალთან, სადაც დეტალურად განიხილეს ბაგა-ბაღის ავტორიზაციასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები. წარმატებულ სააღმზრდელო წელს ვუსურვებთ 150-ე ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს და მთელ შემოქმედებით კოლექტივს.

მზია გოგოძე

სასწავლო ცენტრი

აბიტურიენტებისთვის და არა მხოლოდ მათთვის....

ცოდნა ძალა და სიმდიდრეაო ჩვენს წინაპრებს უთქვამთ და მართლაც, რომ ასეა.... კარგი და ხარისხიანი განათლება კი, წარმატებული მომავლის საწინდარია, რომელსაც ადრეულ ასაკში ეყრება საფუძველი. საგანმანათლებლო სფეროში არანაკლებ დიდი მნიშვნელობა აქვს სასწავლო ცენტრებს, რეპეტიტორებს, რომლებსაც უდიდესი წვლილი მიუძღვით მოზარდების აღზრდა-განათლების საკითხში.

სასწავლო ცენტრი **„სამყარო - Our World"** 2008 წლიდან დღემდე, წარმატებით ფუნქციონირებს საგანმანათლებლო სფეროში და დიდი მიღწევებიც აქვს. აქ მომზადებული აბიტურიენტები უმეტესად გრანტის მოპოვებით და მაღალი ქულებით ირიცხებიან სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. მისი ხელმძღვანელია **ბექა წიკლაური**, ხოლო სასწავლო პროცესის წარმმართველ-მენეჯერი **ნანა წიკლაური**.

„სამყაროში" ფუნქციონირებს ხუთი სპეციალიზებული სექტორი: ესენია:

- ჰუმანიტარული, რომელიც მოიცავს ქართულ ენასა და ლიტერატურას, ისტორიას, სამოქალაქო განათლებას;
- ტექნიკურ სექტორში შედის მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, გეოგრაფია, ბიოლოგია, ზოგადი უნარები;
- ბუღალტერიისა და საგადასახადო საქმის კურსი;
- უცხო ენების სექტორი - ინგლისური, რუსული, გერმანული და სხვა.
- მუსიკალური საკრავების შემსწავლელი კურსი.

საგულისხმოა, რომ სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ, გაიცემა საერთაშორისო სერთიფიკატი. აღნიშნული მოწმობით კი, მსმენელები წარმატებით მუშაობენ როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში.

ხელმძღვანელების თქმით, სასწავლო პროცესის კორდინაციის მიზნით, ცენტრში ხორციელდება მოსწავლეთა ცოდნის შეფასება, აკადემიური მიღწევების მონიტორინგი და შიდა ტესტირებები. ასეთი მიდგომით კი, შესაძლებელია დააკვირდნენ, გააანალიზონ და კიდევ უფრო გააუმჯობესონ სასწავლო პროცესის წარმართვა.

ამიტომაც არის, რომ „სამყარო" წლების განმავლობაში მაღალი რეიტინგით სარგებლობს, საკმაოდ პრესტიჟულია და ჰყავს უამრავი წარმატებული მოსწავლე, სრული და ნაწილობრივი გრანტებით. ასეთი სანიმუშო მიღწევები კი, სასწავლო ცენტრის პედაგოგების უდიდესი დამსახურებაა.

ნანა წიკლაურის თქმით, **„სამყაროში"** მუშაობენ მაღალი დონის სერთიფიცირებული პედაგოგები, დოქტორები, რომლებიც საგნის სწავლასთან ერთად, პრიორიტეტს ანიჭებენ ლოგიკურ აზროვნებასა და აუცილებელი უნარების ჩამოყალიბებას.

სასწავლო ცენტრის ჰუმანიტარულ სექტორში წარმატებით მუშაობენ: **ნინო გრძელიშვილი, სალომე გურული, ქეთევან ჯალიაშვილი, მზია არუნაშვილი**;

ტექნიკურ სექტორში მაღალკვალიფიციური პედაგოგები არიან: **ნანა წიკლაური, ნინო ქევხიშვილი, ირმა თოდუა, გვანცა წიკლაური;** უმაღლეს ქულებს იღებენ უცხო ენების სექტორის აბიტურიენტები, რაც პედაგოგების **ინგა ხაჩიურის** და **ნესტან ქარდავას** დამსახურებაა. ასევე, კარგი შედეგები აქვთ იმ მსმენელებს, რომლებიც ცენტრში ენას შეისწავლიან; საბუღალტრო პროგრამას ჩინებულად უძღვება დოქტორი **ნინო ნარგიზაშვილი**.

მოსწავლეთა მოთხოვნიდან გამომდინარე, სასწავლო ცენტრ **„სამყაროს"** სამომავლოდ გათვალისწინებული აქვს ცენტრის ფილიალის გახსნა გლდანში, ენების შესწავლის მიზნით კი - უცხოელ კოლეგებთან პარტნიორობა.

მზია გოგოძე

დიდი ისტორიის ბაგა-ბაღი

ამ ბალნარში იწყება ბედნიერი ბავშვობა

ახალი 2023-24 სააღმზრდელო წლისთვის მზადებას თბილისის **106-ე** საბავშვო ბაგა-ბაღი (დირექტორი **ციცინო ადეიშვილი**) დიდი ენთუზიაზმითა და პასუხისმგებლობით შეუდგა. განახლდა ინფრასტრუქტურა, მოეწყო ეზოსა და ჯგუფების ფიზიკური გარემო. აღსანიშნავია, რომ ამ დიდი ისტორიის სააღმზრდელო დაწესებულების ეზო, განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევა, სადაც დიდ ფართობზე მრავალწლიანი მარადმწვანე ხეებია გაშენებული და კეთილმოწყობილია სათამაშო ატრაქციონებით. აქ პატარები მოძრავი თამაშებითა და ეზოს აქტივობებით ერთობიან.

სასწავლო წლის პირველ დღეს ირგვლივ საოცარი სილამაზე იფრქვეოდა – ეზო, ჯგუფები და დერეფნები ფერადი ბუშტებით, ბაფთებითა და ალმებით მოირთო, მოწვეულმა ანიმატორებმა კი მუსიკით, ცეკვით, მხიარული თამაშებითა და სხვადასხვა გასართობით, ისე გაალამაზეს დღე, რომ გამხიარულებული პატარები თავადაც ამ სპექტაკლის მონაწილენი გახდნენ.

წელს სიახლეა ის, რომ ბაგა-ბაღი ავტორიზაციის უფლებების მოსაპოვებლად ემზადება. ადრეული განათლების კურიკულუმის მიხედვით, თამაშით სწავლების მიზანია ჯგუფის ერთობა, კვლევა, აღმოჩენა, რომელიც თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვთა განვითარების სფეროებს და ეფუძნება განათლების სახელმწიფო სტანდარტს. დაინერგა ასევე, ჰასპის პროგრამა. ყველა ამ სიახლის დანერგვასა და განვითარებაში ქალბატონ ციცინოს მხარში უდგანან თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტები – დირექტორის მოადგილე **ნინო ავსაჯანიშვილი**, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი **ირმა ადეიშვილი**, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი **ჟუჟუნა ჟამიაშვილი**, ჯანმრთელობისა და ჰიგიენის უზრუნველყოფის კოორდინატორი **თამარ მაისურაძე**, საქმის მწარმოებელი **ქეთევან ჩხიკვაძე**.

ბაგა-ბაღში 5 სააღმზრდელო ჯგუფია, აქედან 2 – მზაობის, რომლებიც შესაბამისი სასკოლო მზაობის პროგრამით გადიან სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს. მულტიდისციპლინარული ჯგუფი – ფსიქოლოგი **ლიანა კაპანაძე**, სპეც. პედაგოგი **თამარ გაჩეჩილაძე**, ლოგოპედი **მარგალიტა ჭუმბურიძე** – ბავშვთან დაკავშირებულ ყველა გადაწყვეტილებას აღმზრდელებთან და მშობლებთან ერთად იღებს.

ბავშვთა ჰოლისტურ განათლებაზე ზრუნავენ და სასკოლო მოლოდინებისა თუ გამოწვევებისთვის მზაობას უზრუნველყოფენ აღმზრდელები: **ლალი მათიაშვილი, ნაზი გუცაშვილი, სოფიო ხარშილაძე, ლია ჭედია, ნათია გულიაშვილი, რუსუდან ფორჩხიძე, ნანა გიგოლაშვილი;**

სხვადასხვა ღონისძიებას, პროექტსა თუ თემატურ აქტივობას მუსიკალურად აფორმებს მუსიკის პედაგოგი **ნაირა ლალიაშვილი**;

განსაკუთრებით დასაფასებელია აღმზრდელის თანაშემწეების შრომა: **მაგული კახიშვილი, ელენე შავდათუაშვილი, სოფო ჭანუყვაძე, მაია ტოტოღაშვილი, ეკატერინე ბალხამიშვილი, ეკატერინე ქებაძე;**

უსაფრთხო და კომფორტულ გარემოში თვალშისაცემია სისუფთავე, მოწესრიგებული სამზარეულო უგემრიელესი კერძებით, რაც ტექნიკური პერსონალის დამსახურებაა: **ნინო ოქრუაშვილი, იამზე ვეფხვაძე (მზარეულები), ლელა შუკაკიძე, ნათია ბორძიკული, ნინო ტერუნაშვილი, ნინო ბეჟაშვილი, მარიამ მეფარიშვილი, თინათინ გიგაური;**

ბაგა-ბაღში, მშვიდად მუშაობისა და ბავშვთა აღზრდა-განვითარების სწორად წარმართვისთვის, ყველა პირობაა შექმნილი.

ნათია გურგენიძე

146-ე ბაგა-ბაღი

პატარებმა არემარე აავჭრიამულეს

ახალი სასწავლო წლის საზეიმო ღონისძიებები, ისეთივე შთამბეჭდავი იყო თბილისის მიმდებარე სოფლების ბაგა-ბაღებში, როგორც დედაქალაქში. თბილისის 146-ე ბაგა- ბაღი დაბა კოჯორში მდებარეობს, დირექტორი შესანიშნავი მენეჯერი **ხათუნა წერეთელი** გახლავთ. აღნიშნული საბავშვო დაწესებულება, მრავალი წელია ორი სოფლის - კოჯრისა და კიკეთის მოზარდების აღზრდა -განვითარებას ემსახურება.

ხათუნა წერეთელი: როგორც ყოველთვის, წლევანდელი სასწავლო წლის პირველი დღე, აღსაზრდელებისთვის იყო საინტერესო, მხიარული და დასამახსოვრებელი. საზეიმოდ მორთულ-მოკაზმულ ეზოში, აღმზრდელებმა მოწვეულ ანიმატორებთან ერთად უმასპინძლეს პატარებს. ჩვენთან ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია და აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს. ყოველწლიურად მიმდინარეობს შენობის სარემონტო სამუშაოების განახლება და წესრიგში მოყვანა. თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს თანადგომით, განახლდა ინვენტარი და თემატური ლიტერატურა, მოწესრიგდა ცენტრალური გათბობა, საბავშვო ოთახები და სამზარეულოები, გარემონტდა მშრალი პროდუქტების შესანახი სათავსოები, შეიცვალა შენობაში შემავალი ყველა კარი და სხვ.

146-ე ბაგა-ბაღში სულ ოთხი სააღმზრდელო ჯგუფია, აქედან ერთი ,,სასკოლო მზაობის". აღსაზრდელები აქტიურად არიან ჩართულნი საბავშვო ბაღის ყველა აქტივობაში. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის სრულფასოვანი წარმართვისთვის, უდიდესია აღმზრდელების როლი, რომლებიც დედობრივ მზრუნველობას არ აკლებენ პატარებს.

საგულისხმოა, რომ ბაგა-ბაღის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის ყველასათვის პატივსაცემ ქალბატონ **ხათუნა წერეთელს**. უკვე თხუთმეტი წელია თავდაუზოგავად, დიდი რუდუნებით ხელმძღვანელობს საბავშვო ბაღს, რათა მაღალ შედეგებზე იყოს ორიენტირებული. მუდმივად ზრუნავს, იმისათვის, რომ სააღმზრდელო ჯგუფები სათანადოდ იყოს აღჭურვილი საჭირო ატრიბუტებით, აქტივობების ჩასატარებელი მასალებით, სახელმძღვანელოებებითა და თვალსაჩინოებებით.

ბაგა-ბაღს ამშვენებს კეთილმოწყობილი საზეიმო და სპორტული დარბაზები, სადაც მუდმივად ტარდება თემატური ღონისძიებები და გამაჯანსაღებელ-გასართობი აქტივობები. ბაღის ეზო კი, ბავშვების საყვარელი ადგილია, რომელიც დამშვენებულია სხვადასხვა მარადმწვანე მცენარეებით და სათამაშო ატრაქციონებით. საბავშვო დაწესებულების წარმატებით ფუნქციონირებაში აქტიურად არიან ჩართულნი დირექტორის მოადგილე **ქეთევან შოთაძე**, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი **ხათუნა მამაცაშვილი**, მულტიდისციპლინური გუნდი, აღმზრდელები და მათი თანაშემწეები.

აქ მართლაც კომფორტული გარემოა შექმნილი სასწავლო სააღმზრდელო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის. ბაგა-ბაღის მიერ შემუშავებული კურიკულუმი, ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევას, ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას.

აღსანიშნავია, რომ ბაგა-ბაღში თანამშრომელთა შესანიშნავი გუნდია, რომელთა ერთსულოვნება ყველა დიდი საქმის საწინდარია. მათ აქვთ სურვილი და ამოცანა - სწრაფვა მეტი სრულყოფილებისაკენ!

დაე, ასე იყოს... წარმატებები 146-ე ბაგა-ბაღის მესვეურთ.

ანანო სამელია

პოლიტიუმორინა

ახალი სასწავლო წლისთვის

გია მურღულიას

გაფასებთ, როგორც ერუდირებულ პედაგოგს და დირექტორს, ტკბილმოუბარს. ხართ მინისტრის მრჩეველი. თქვენს აქტივში შედის ასევე ლიტერატურული საუბრები პირველ არხზე.

იპოლიტეს ხმა: იცოცხლეთ, ეს ყველაფერი კარგი იყოს, მარა...

- რა მარა, შე კაცო, რა მარა?

- რა მარა და: სკოლიდან განდევნილია იაკობის „დედაენა“, „სამშობლო ხევსურისა“, აკაკი შანიძისა და ლეო კვაჭაძის სასკოლო სახელმძღვანელო „ქართული ენა“... ამ დროს კი.

- იცოცხლეთ, კარგი იყოს „იაპონური ტანკები“, მარა...

„ამ დროს შემოვარდნილა ერეკლე ბატონი:

რა დროს ლექსებიაო, მოუკვდა პატრონი!“

„თქვენ, ჰეი, ცაში ბევრს ნუ დაეძებთ,

ძირს სიხარულით დახედეთ მიწას!“

ვაჟა ოთარაშვილს

ტელევიზიით გამოდის პოეტი და პროფესორი,
ამისთანა პროფესორი, დაე, გვყავდეს ათას ორი.

ნაროს ტივი

ოჩამჩირის დაბრუნება: კოლხი ნაროს ნარატივი,
ამ მიზნისა მისაღწევად რას ეყოფა მას რვა ტივი,
ხალხთან ერთად დასჭირდება, მას ნამდვილად, ასი ტივი,
თუმცა აღარ ამოუდგა პატრიოტი კოლექტივი.

ყველას ჭკუას გვასწავლის

ლიტუა საქართველოს ნახევარიც არ არის,
ეს პატარა ლიტუა ქართველთ ჭკუას გვასწავლის,
დიდია თუ პატარა, თითქოს ვიყოთ ვასალი,
ყველა რაცხას გვედავება, ყველა ჭკუას გვასწავლის.

„იმერული ესკიზები“

- აბა, ბავშვებო, ვინ მეტყვის:
რა სარგებლობა მოაქვს „ნატოს“?
- ნატოს მოაქვს ჩვენთვის
მშვიდობა და დოვლათი.
- აბა, ბავშვებო, ვინ მეტყვის:
რა სარგებლობა მოაქვს ელგბტს?
აბა, ბიჭო, მთელი წელი რომ
არ ამოგიღია ხმა, რა „სარგებლობა“
მოაქვს ჩვენთვის ლგბტს?
- მამაკაცი მამაკაცს ჩინჩლავს.

ამას გიზამთ — იმას გიზამთ!

ამას გიზამთ — იმას გიზამთ,
დაგინესებთ სანქციებს,
ამას გიზამთ — იმას გიზამთ,
ხვალ მოგიწყობთ აქციებს!
ძალა-უფლება გვინდაო
და სულ მთლად დაგვაქციეს,
თუმც აქცია ვერ მოგვიწყვეს,
ვეღარც დაგვასანქციონირეს.

მოსე მწერალი

103-ე ბაგა-ბაღი

ლამაზად დაწყებული სასწავლო წელი



თბილისის 103-ე საბავშვო ბაგა-ბაღი (დირექტორი **მზია კოტიაშვილი**) განახლებული ინფრასტრუქტურით, მოწესრიგებული, გაწკრიალებული და ულამაზესად მორთული ეზო-გარემოთი შეხვდა პატარებს სასწავლო წლის პირველ დღეს. სხვადასხვა ფერის ქოლგები, ალმები, ბუშტები, მოწვეული ანიმატორები – „მიკი და მინი მაუსები," მუსიკალური გაფორმება, გასართობი თამაშები, მხიარული გარემო – აღსაზრდელებს, მშობლებს და ბაგა-ბაღის მთელ კოლექტივს საოცარ განწყობას უქმნიდა. წარმოდგენილ ფოტოკოლაჟზე სწორედ ამ ულამაზესი დღის ამსახველ ფოტოებს გაეცნობით.



წუთშესვენება

ზოგჯერ დავფიქრდეთ, ზოგჯერ გავიცინოთ

ძველი სიმღერა ახლებურად

შენ რომ ზარი შემოჰკარი, მტერთა გლოვის ზარი არი,
შენ რომ ციხე დაანგრიე, მტრების ნატახტარი არი,
გორის ციხეზე შემოდგა, ჩვენი ბრძენი ერი არი.

„საქართველოს ზნეობანი"

არჩილ მეფემ ხომ დაწერა „საქართველოს ზნეობანი",
რა იცოდა, მტერთან არ ჭრის სიყვარული, ზნეობანი,
არსენამ ვერ გაიმეტა კუჭატნელია
„შემოუქნია გიორგიმ, მოსჭრა მარჯვენა ხელია".
ვაჟამ თქვა: „არვის ვებრალვით?
ჩვენ შევიბრალოთ რისადა,
უფალსა მხოლოდ სიკვდილი
გაუჩენია მტრისადა."

ტელეყუთელთა დოღი

ველობროლა ხომ გინახავთ?
რა ამბავია, დედა,
ჯერ ერთი უსწრებს მეორემ
თავი სულ გაიმეტა.
ასეა ტელეყუთშიაც
მუდამ ნაცები სხედან.
ხანდახან ვოლსკი მორცხვად
წამოიკნავლებს კენტად,
აჰა, ლიდერობს ბოკუჩა,
ისიც კი მალე ჩამორჩა,
გაუსწრო სამადაშვილმა,
თუმც, ისიც მალე ჩამორჩა,
წინ არის დეკანოიძე.
ვაჰ, ისიც მალე ჩამორჩა.
თუმც უხვია მანჯგალაძე,
ის სიჩქარეს ვეღარ გასცემს,
არას უთმობს მას ვაშაძე,
აბა, ვნახოთ, ვინ ვის დასცემს.

აქტივისტები

ხელისუფლება გავაგდოთ, მათი ტახტი ჩვენ გვწყურია,
გაიძახის აქტივისტი ბიჭი დემურ დემურია,
მას ბიძინაც მივაყოლოთ, ის ხომ მათი მსახურია,
ამას ყეფენ სხვა ბიჭებიც: ის ინია, ეს მურია,
ამას ჰყვირის ხაბესკუა, მას ბანს აძლევს საკასკუა.

საყვედური „საზმაუს" და „ობიექტივს"

გასაგებია კეზერაშვილი ნაცარხებს რომ აფინანსებს,
მათ ინტერესებს რომ იცავს, მიტომ არ ზოგავს ათასებს.
„საზმაუწყებლობა" რომ იკვებება საზოგადოების ჯიბიდან,
ეტყობა, დიდი ხანია, სული რომ ნაცებს მიჰყიდა.
იქ სულ ნაცები სხედან, იშვიათად კი
მთავრობა და პარლამენტის ოცნება.
„ობიექტივი" ხომ არის პატრიოტების ვიზია,
სად არის პატრიოტული ფილმები და ხელოვნება,
პატრიოტული თემები, ვინ არის მათი მსახური,
ყოველდღე გაუთავებლად „გერბი" და სხვა „საფასური?"

პროგრეს-რეგრესი

ევროს მოწაფეები ხართ, სულ პირველად გვახარეს,
მერე ასოცირებული, გაიხედეთ სხვა მხარეს,
მერე გავხდით მაპისტი და მერე კი ტანკისტი,
უკრაინას დაეხმარეთ, სულ ხშირ-ხშირად გაისმის.
პროფესორი ბორელი: ხართ ზარმაცი სტუდენტი.
აღარა გვწამს დაპირება, არ გვინდა ეს პლაკატი,
ნეტავ, როდის გვეღირსება კანდიდატის მანდატი?!

მწვად-შამფურები

ცდილობს ჩვენი სამსახური,
არ დაიწვას მწვად-შამფური.
თურმე ორივე იწვება
მწვადიცა და ის შამფურიც.
ამას ამბობს გოთოშია,
მას ბანს აძლევს მორგოშია.

ჩაიწერა **მოსე მწერალმა**

ბებო

მზია გუმბერიძე

ყანიდან დაბრუნებისას სასაფლაოს გზაზე ყოველთვის მოჩანს ერთი ახალგაზრდა კაცი. სულ ახალი გაწკრიალებული ჯიპი სასაფლაოს ღობესთან ჩრდილში უდგას. თვითონ, კი იქვე გზასთან ახლოს, საწყალი თალიკო ბებო რომ დავასაფლავეთ სოფელმა, მის საფლავზე ჩამუხლული გულიანად ქვითინებს. ნეტავ ვინ არის? ადრე არასდროს მინახავს. კარგი მარმარილოს ქვაც დაუდგამს და ზედ შვილისგანო დაუწერია. შვილი, თუ ჰყავდა, ასე მარტო, მეზობლების ანაბარა, რად იყო?

- ეჰ, ჩემო ბიჭო, ადამიანი სანამ ცოცხალია, მანამ უნდა პატრონი. ახლა ტირილი თალიკოს არაფერში გამოადგება. ის უკვე უფალთან არის და პატრონი აღარ სჭირდება. კაცი მაშინ იქნებოდა და მის ცრემლებსაც ფასი ექნებოდა, დედისთვის შვილობა რომ გაეწია. ახლა მისი ტირილი და საფლავის გალამაზება მხოლოდ აღიზიანებს მთელ სოფელს. იცი?

- იმ უბედურმა ქალმა ობოლი გაზარდა, კაცად აქცია, მისი გულისთვის დღედაღამ შრომობდა. უშრომელი არავინ ვიყავით, მაგრამ მისი გამძლეობა და შესაძლებლობები ყველას გვაოცებდა. ულამაზესი ქალი იყო. ახალგაზრდა დაქვრივდა. ბევრი მთხოვნელიც ჰყავდა, მაგრამ შვილს, ვიღაც კაცს, უფროსად ვერ დავუყენებო. რწმენაა შვილო, რწმენა და მიზანი ადამიანს, რომ ძალას მატებს. დიახ, ასეთი არაადამიანური შრომით,

- კაცი პროკურორი გახადა, დააოჯახა და მერე, სულ დაეკარგა. არ ვიცი, მისი დანახვისა რცხვენოდა, თუ რატომ ირიდებდა თავიდან, თვითონაც არ იცოდა საწყალმა თალიკომ. მას შვილებს ცოლეულები აზრდევინებდნენ. დედამისს, არც ანახებდა. სიგიჟემდე ენატრებოდა საწყალს, უნდოდა ხელში აეყვანა, ჩახუტებოდა, გულში ჩაეკრა თავისი ნაშიერი, მაგრამ მხოლოდ სურათებიდან იცნობდა. ხანდახან ვიდეოებს ხედავდა. ეხვეწებოდა, დამირეკეთ, ბავშვი ეკრანიდან მაინც მანახეთო, მაგრამ არ იქნა, ვერავის შეასმინა. შენ, ის, არ გინახავს ყოველ დილით ტაძარში რომ მიდიოდა თალიკო, სანთლებს ანთებდა და შვილისთვის და მისი ოჯახისთვის ლოცულობდა. ახლა ტირილი, სინანული და თითზე კბენანი გვიანია და მხოლოდ ზიზღს იწვევს აქაურებში.

- რას ამბობ, ბებო. გული დამეწვა. დედამ ისეთი რა უნდა დაუშავოს შვილს, რომ ასე მიატოვოს? ნუთუ არ ენატრებოდა, ნუთუ თავისი ბავშვობა არასდროს ახსენდებოდა, როგორ შეეძლო დედის ჩახუტების გარეშე ცხოვრება? იმ ქალის სითბო მთელ სოფელს ახსოვს. ისეთი ლოცვა იცოდა; სულ მინდოდა, რაიმე გამეკეთებინა მისთვის, დავხმარებოდი, ან მიმეწვდნია. რამდენჯერ პური მიყიდია და შოკოლადი, შენთვის არც მითქვამს. შენთან რომ მომქონდა, მასაც ვაწვდიდი. შენ რომ მითხარი მოხუცი, შვილო, პატარა ბავშვივით არის, ტკბილეულიც უყვარს და მოფერებაცო. მეც სულ ვფიქრობდი: ვითომ ჩემს დედიკოს ვაწვდიდი და ვასიამოვნებდი, ჩავეხუტებოდი, ასე რომ მენატრება. ისიც სულ მლოცავდა და მორიდებით მეხუტებოდა. თითქოს, თავის უძლურებისა რცხვენოდა და მე უფრო ვეხუტებოდი. ასე, უმწეო და დაუცველი ბავშვივით მეჩვენებოდა. მისგან, რომ მოვდიოდი ყოველთვის ცრემლები თავისით მომდიოდა. ის კი ქვითინებდა. ჰო, მართლა ბე, დასაფლავებაზე მაინც რატომ არ იყო მისი შვილი?

- მაშინ საქართველოში არ იყო, შვილო. დიდი კაცია და სადღაც სხვა ქვეყნებში იყო, რაღაც სამსახურებრივი მოვალეობისთვის. უფალი დაგლოცავს, ჩემო კეთილო ბიჭო. ძალიან მიხარია ეგეთი რომ ხარ. შენ გაცილებით მეტი გააკეთე საწყალი თალიკოსთვის, ვიდრე მისი შვილი აკეთებს დღეს, თავისი ცრემლებით და ყვავილებით.

- ბე! გეხვეწები, წავალ, სახლში მოვიყვან, ბევრი კითხვა მაქვს, იქნებ, მის გულში რა ხდება?! ასეთ ამაგიან და თბილ დედას, ასე უმიზეზოდ მარტოობისთვის, როგორ გასწირავდა? რაღაც გამართლება მაინც ექნება მასაც. ძალიან მაინტერესებს, რას იტყვის. ბევრჯერ ვეცადე, რაიმე ეთქვა, თალიკო ბებოს, თავის წარსულზე, მაგრამ სხვა თემაზე გადაჰქონდა საუბარი.

- ჰო, ეგეთი იყო. შვილის ძვირს არასდროს იტყოდა. ცდილობდა, არ ესაუბრა. სანამ კარგი ჰქონდა სათქმელი და წარმატებით მაღლა მიიწევდა, უხაროდა კიდეც, თუ რაიმეს ჰკითხავდი. ხნიერიც არ იყო, შვილო, დარდმა და შრომამ გალია. ამ ბოლო დროს მოტყდა უფრო, უყურადღებობა და მარტოობა, უიმედობა აბერებს ადამიანს. მე ბევრად უფროსი ვარ მასზე, მაგრამ მე რა დამაბერებს, შენს პატრონს. წადი შვილო, თუ გამოგყვება! მე სუფრას გავამზადებ, მაინც ხომ უნდა ვჭამოთ. შეიძლება მისი საკადრისი არ მქონდეს დღევანდელი გადასახედიდან, მაგრამ ბავშვობაში ჩემს შვილებთანაც დამისვამს მაგიდასთან.

* * *

- **გამარჯობა**, ძმობილო! - უთხრა კახამ, ცრემლებჩამომდინარე, ორმოცამდე წლის მირიანს.

- გაგიმარჯოს, ძმაო! - მუხლებზე მდგომი ფეხზე წამოიმართა. ახოვანი, სიმპათიური სახის ვაჟკაცი, რომელსაც ცრემლიან თვალებში საშინელი ნაღველი ჩაჰბუდებოდა. კარგად მოვლილ და გაპარსულ სახეზე უსაშველო ტკივილი აღბეჭდვოდა. თმა, ასაკთან შედარებით, ადრე გაჭაღარავებოდა. დაუპატიჟებლად მოსულისკენ ნაბიჯი გადადგა და ხელი გაუწოდა. კახამ ხელი ჩამოართვა და საუბრის წამოწყება სცადა.

- ვისი ბიჭი ხარ, აქაური ჩანხარ? - დაასწრო კითხვა მირიანმა და გაღიმება სცადა.

- გოჩაანთ მაგდას შვილიშვილი ვარ! - სიამაყით უთხრა კახამ და მხრებში გაიშალა.

- ნატოს ბიჭი ხარ? კი, კი, გავხარ! - თვითონვე უპასუხა თავის კითხვას. - მახსოვს პატარა მოყავდი ხოლმე დედაშენს მაგდა დეიდასთან, რომ ჩამოვიდოდი თბილისიდან არდადეგებზე ხშირად გხედავდით. ახლა სად არის დედაშენი?

- საზღვარგარეთაა წასული. ზაფხულობით ჩამოვდივარ, ბებიას ვეხმარები, ყანისა და ვაზის მოვლაში. -კაცს ცრემლი მოსწყდა თვალიდან. იქვე სკამზე ჩამოჯდა. თითქოს ადამიანს ელოდა, ვისაც გულს გადაუშლიდა. ცრემლისთვის ხელი არ შეუშლია, არც დამალვა უცდია.

- კარგი კაცი ხარ, შვილო. შენ, ალბად, ოცი წლის ხარ, მაგ ასაკში, მეც დედის გვერდით ვიდექი და ჯერ კიდევ, მის ნათქვამზე დავდიოდი და მის ნაშრომ-ნაშოვარზე ვიყავი დამოკიდებული. ხშირად ჩვენ ორივე ერთად ვშრომობდით. უფრო სწორად, შენსავით, როცა დრო მქონდა, სწავლის იქით, ვეხმარებოდი. ცხოვრებამ ,სწავლამ, თუ სიმაღლეების დაპრყრობის აზარტმა არ დაგავიწყოს საყვარელი ადამიანები. ადამიანს ბევრი რამ სჭირდება. განსაკუთრებით მერე, რომ დაოჯახდება, ჰგონია, რომ მოასწრებს ყველაფერის გაკეთებას. ოცნებობს იმ დღეზე, როცა დედას გავახარებდი! - და საუბარი უკვე პირველ პირში დაიწყო. ცრემლებს ზლუქუნიც მოაყოლა, ამხელა კაცი მხრების თახთახით ტიროდა. კახაც ჩუმად იჯდა და უსმენდა, არ შეაწყვეტინა. - მინდოდა, მინდოდა - სივრცეს თვალი გაუსწორა. თითქოს იქ ვინმეს უხილავს ესაუბრებოდა. - დედასთვის ცალკე ერთოთახიანი კომფორტული ბინა მეყიდა. სადმე ჩემთან ახლოს და რაც, მე ჩემი სიშორით დავაკელი სიურპრიზით და სიყვარულით ამენაზღაურებინა. ყოველ დღე მენახა, ყოველ დილით გულში ჩამეკრა და ყოველ ღამე მოფერებით, დამეძინებინა. ვერაფრით ვიფიქრებდი ჩემს ძლიერ დედიკოს, თუ რაიმე მოერეოდა. ის, ხომ უძლეველი და დაუმარცხებელი მეგონა. რამდენჯერ მიტირია, ღამით სიზმარს გაუღვიძებივარ, დავხედავდი საათს და ღამის 4-5 საათი იყო. ვიფიქრებდი: ამ დროს დარეკვით შეეშინდება ქალს, არაფერი დავმართო თქო და ისევ ვიძინებდი თვალცრემლიანი. დილით ჩვეულებრივი ქაოსი იწყებოდა და გვიან ღამემდე არ თავდებოდა. შაბათ-კვირას რასაც ვშრომობდი, ჩემი ოცნების ასასრულებლად ვინახავდი. დედას ჩვენთან ცხოვრება არ უნდოდა. მორიდებული ქალი იყო ძალიან. ჩვენ სტუმრიანი ოჯახი გვქონდა და პატარა ბინა. თავიდან ორი დღე ძლივს გაგვიძლო და გამოიქცა. ამიტომ მინდოდა მისთვის ცალკე ბინა, მაგრამ მუხთალია წუთისოფელი, უკვე მოვძებნე და ყიდვას ვაპირებდი საქართველოში, რომ დავბრუნდებოდი. ერთთვიანი მივლინებით ვიყავი საზღვარგარეთ. რომ ჩამოვედი დედა,- აქ დამხვდა. არც გამიგია, ეს ამბავი ჩამოსვლამდე. თავს ვერ ვპატიობ, რა ვქნა, როგორ მოვიქცე არ ვიცი. სამსახურსაც ვეღარ ვუდებ გულს. ვერსად ვისვენებ. გეხვეწები, არ მიატოვოთ მაგდა ბებო. თუ ოდესმე ჩემსავით საქმეში და ოცნებებში ჩაეფლე, მე მითხარი, რომ რაც დედას დავაკელი, მასზე ზრუნვით, ცოტა მაინც გამოვისყიდო. მართლა, რა ციცქნა ყოფილა წუთისოფელი. იმ შაბათ-კვირას, ფულის გროვების ნაცვლად, მისი ნახვა, რომ მომეხერხებინა, იქნებ დღეს ცოცხალი მყოლოდა. სიურპრიზი მისი კი არა, ჩემი ბედნიერებისთვის მინდოდა, როგორც ჩანს. მისთვის, ალბათ, ერთი ჩახუტება მეტს ნიშნავდა, ვიდრე ის დოლარები ბინისთვის რომ ვაგროვებდი. - და კაცმა ტირილით გამშრალი ყელიდან, ლამის გულიც ამოაყოლა ცრემლების წვიმას... კახასაც აუწყლიანდა თვალები. მხრებზე ხელი მოუთათუნა უფროს მეგობარს და დამშვიდებას შეეცადა, გამოცდილი კაცივით.

- ხდება ძმაო, წუთისოფელი მუხთალია; ,,თაფლში ურევს მწარე ნაღველს, მტრისას მისი გამოცანა". წამოდი მაგდა ბებოსთან, ცოტა ვისაუბროთ. დარწმუნებული ვარ მასთან საუბარი აუცილებლად შვებას მოგგვრით.

* * *

ჭკვიანმა და რთულ ცხოვრება გამოვლილმა მაგდამ, მირიანის საუბრით დამძიმებულმა, ცრემლები მოიწმინდა და უთხრა:

- ეჰ, ჩვენს გემოზე, ეს ცხოვრება არასდროს გვატარებს. ცხოვრებას თავის წესები აქვს. ჩვენ, ამ წესების ფარგლებში უნდა ჩავატიოთ ჩვენი დარდი და სიხარული, წარმატება და მარცხი. უნდა მოვძებნოთ გამოსავალი ყველა განსაცდელისგან. დედაშენს შენი ცრემლები არასდროს გაახარებდა. ყოველთვის იმას ცდილობდა ძლიერ კაცად გაეზარდე და გამოუვიდა კიდეც. მხოლოდ დროში ვერ ჩაეტიე და დედის გული ვერ იგრძენი, შენი ოცნებით გატაცებულმა, რასაც მისი ბედნიერება უნდა მოჰყოლოდა. ის შენმა სიშორემ გატეხა. თუ არა შრომა, მას ვერაფერს დააკლებდა. მისი ნაშრომი მის შვილს რომ აღარ სჭირდებოდა, ამ აზრს ვერ შეეგუა უფრო. თავს უფუნქციოდ თვლიდა და ამან გატეხა. ახლა მას ტირილი და ამდენი ტკივილი ვერაფერს უშველის. დამშვიდდი და ცხოვრების რიტმს დაუბრუნდი. თესე სიკეთე, ათასი მარტოსულია, ასე უფრო დაეხმარები. ადამიანს იმედი და ნუგეში აცხოვრებს. მარტოობა ეს ისეთი სულის კიბოა, ექიმი და დიაგნოზი რომ არ სჭირდება. არც კედლებზე ევრორემონტს, არც საუკეთესო საწოლს და საკვებს აქვს იმდენი ძალა, რაც ადამიანის ჩახუტებას, გასაუბრებას და ხვალის იმედს.

- მართალი ხარ, მაგდა დეიდ! - თქვა ტირილით დაღლილმა მირიანმა, რომელმაც თითქოს შვება და სიმსუბუქე იგრძნო. - დედამ ამდენი იშრომა, ჩემი სახლის გასალამაზებლად. სახლი, რომელშიდაც გავიზარდე, ფეხი ავიდგი და მთელი ჩემი ბავშვობა გავატარე. დღეს ჩემთვის წარსულია და მე აღარ მჭირდება. მეც ასე ამოუსუნთქავად ვწვალობ და ვშრომობ კიდევ და კიდევ, რაიმე შევიძინო შვილებისთვის, რაც შეიძლება, ხვალ მათ არ მოუნდეთ. მშობელი დედა, ასეთი დედა, ასე მარტოობისთვის გავიმეტე. მეზობლების იმედად დამრჩა. მე კი ისევ ახალგაზრდა და ძლიერი მეგონა.

- რას იზამ, შვილო! არავინ იცის, ხვალეს რა მოაქვს! და, მაინც, ბედნიერია დედა შვილს რომ ბედნიერს დატოვებს! გეყო ცრემლები და წინ იარე. დედას, რომ ეამაყებოდა შენი ნაბიჯები, ისე. მისთვის ტკბილი მოგონება, სანთელი და შენგან გაკეთებული სიკეთე საკმარისია! - თქვა მაგდამ და ცრემლიანი თვალები კიდევ ერთხელ მოიწმინდა.

გადარჩენილი სისხლი

„მე სულ სხვა მინდა სანახავები,
მრავალი ხალხი ერთად ხარობდეს,
დაუწყობელი თუნდ იყოს ხმები,
მხოლოდ უფლებას თვისას გალობდეს.
მეგობრობას, ძმობას ერთობას
უშიშრად მაღლა განაცხადებდეს
და სიყვარულსა, ამ წმინდა გრძნობას,
მოუფიქრებლად არ აძაგებდეს!“

მ. გურიელი

ლილე კავკასიშვილი

ნამდვილი ამბავი, თუ როგორ გადაარჩინა ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთის მკვიდრმა საბა ლაზარეს ძე ორაგველიძემ დაჭრილი თურქი „ბები“

ჩემმა ტლანქმა და უხეშმა, მაგრამ სულით შეურყვნელმა სხეულმა გამოიარა მრავალი სხეული და შთამომავლობას გადმოსცა ერთგულება, სინდის-ნამუსი.

შენმა რაინდულმა სხეულმა შეინარჩუნა სილამაზე, ღირსება, მაღალი ზნეობრივი თვისებები და ასე ორთავემ შემოვინახეთ ერის მაღალი ზნეობრივი ნიშან-თვისება და დღემდე განუყოფლად ვეზიდებით მძიმე ცოდვებით დამძიმებული წუთისოფლის ცოდვა-მადლს.

რა ლამაზია ბუნება! რა ფაქიზი. სული ასე მიმზიდველი იქნებოდა, რომ ადამიანთა ბოროტი ქმედება გუნებას არ აუმღვრევდეს, ცრემლი ნიაღვრად არ წამოვიდოდეს, უმძიმესი ცოდვა მიწისძვრად არ გვევლინებოდეს.

საჭინკიას ღელის სათავე მუქი მთებიდან იწყება, სათავეში მისი ხმა თითქოს მშვენიერ ჰანგებს გამოსცემს, განსაკუთრებით, როცა ბუნება გარინდულია და ცოდვილი ქვეყნის ხმაური არ აწუხებს იქაურობას. მერე აღმართიდან დაბლობისაკენ ეშვება და აქ უკვე საშუალება არ ეძლევა ყური დაუგდო ღელის ხმოვანებს. ვაკეზე ტექნიკის ხმაურს დაუფარავს ღელის ღიღინი.

ცუდ ამინდში კი დედამიწის ცოდვებით დამძიმებული ბუნება ნიაღვარს მოავლენს. ადიდდება საჭინკიას ღელე და კაცთა ცოდვების გასაწმენდად დაეშვება მდინარისაკენ. ამ ღელის პირას აიდგა ფეხი საბამ და იგი მოწმე გახლდათ მისი გუნება-განწყობისა.

„არა კაც ჰკლა“ - გულში ჩაებეჭდა ეს სიტყვები და ლოცვით იწყებდა დილას: „ღმერთო, ისე განვლიო წუთისოფელი , კაცის სისხლი არ დავღვარო!“ ყოველივეს გულით წარმოსთქვამდა და ღირსეული საქციელით, მოკრძალებით ცდილობდა სიკეთის ღრმა კვალი გაევლო შთამომავლობისთვის და ასე აღეზარდა მისი მოდგმა.

„თვალი არ მოგჭრას ოქრომ და არ დაიპყროს შენი გონება. დიდება უარყავი და სხვას დაუთმე მისი სარბიელი. შენს კარის ზღურბლს ნუ მიუახლოებ ძვირფას თვალმარგალიტს... ან ომი რატომ ხდება ამ ქვეყნად? ღვთის ტოლი კაცი ჯვარს რატომ უნდა აცვან? თუმცა ჯვარცმიდან ამაღლება ახლოვდება“. ამ ფიქრებში ეძინებოდა საბას.

არა! ჩემს დიდ ბაბუას უთქვამს, დრო შეიცვლებაო. ეს სასახლეები და ტაძრები ამ ადგილას აღარ იქნებიანო. ბოროტება ისე მოიკიდებს ფეხს და დაიპყრობს ადამიანის გონებას, შინაური შინაურს აუმხედრდება. გაითელება სინდისი და სისხლი დაიღვრება ბევრი საამაყო ადამიანის. არ მჯერა! როგორ იქნება ჩვენს ტაძრებს ჭერი ახადონ, ზარები აღარ რეკდეს, წირვა-ლოცვა არ სრულდებოდეს და წმინდა ტაძრებში თხა და ღორი დაბუდრებოდეს.

არა ბაბუა, შენ ცდები! ვერ დავიჯერებ!..

არ უნდოდა დაეჯერებინა. სწამდა, უფალი ყოველივეს გრძნობდა და ხედავდა. ღვთის შიში ბოლომდე შეინარჩუნა და გუმანით ხვდებოდა ბრძენ-კაცი ბაბუის მონაყოლს.

„ბაბუა, ჩუმად ჩადენილ ცოდვას ხომ ხედავს ღმერთი?“

- ჯერ ქვეყნად ცუდი საქციელი არავის შერჩენია. ყველაფერს თავისი დანიშნულება აქვს ამ ქვეყნად. ყველა ნივთი, უმცირესი ნაწილაკიც კი თავისი დანიშნულების მიხედვით დევს დედამიწაზედ. ღმერთი უხილავი ძალით ბუდობს ყველგან და ყველაფერში. ჩუმად ჩადენილი სიკეთე და ასევე ჩუმად ჩადენილი ცოდვა თავის ადგილს პოულობს და წარმოაჩენს თავის შედეგს. –

მთელი ღამე არ ასვენებდა ფიქრები. ბჭობდა ბაბუის მონათხრობზე, მერე საკუთარი დასკვნა გამოჰქონდა და უკვირდა, რატომ ებრძოდა კაცი კაცს. ღვთის წიგნებში ხომ ასე ეწერა: ყველა ადამიანი ადამისა და ევას შვილები არიანო. „რა გვაქვს გასაყოფი ქართველებს ერთმანეთთან, სამეგრელო-გურია ერთმანეთს ეომება, იმერეთი ქართლს განუდგა, კახეთი იღლება ბრძოლისგან. მთიულეთი, ფშავ-ხევსურეთი და სვანეთი თავიანთ ვაჟკაცობას თანაბრად არ ამხელენ.

მახსოვს ერთი კაცი ყვებოდა: რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს გამწყრალი რუსი, ოსმალო და ქართველი. იარაღი ძირს დაუყრიათ და ჟესტებით გაუგებინებიათ ერთმანეთისთვის საჩხუბარი და საომარი ერთმანეთთან არაფერი გვაქვსო.

ახსოვდა საბას ბრძენი ბაბუისა და მამის ნაამბობი. ამავდროულად, იჯდა დავით გურიელი სასახლის აივანზე და ღრმა ფიქრებით დამძიმებულს დარდად აწვა სამშობლოს ბედ-იღბალი. საშინელი სიზმარი ენახა: „სასახლე შეირხა; ირგვლივ ჭაობს დაედო ბინა, კედლები ხავსით შემოსილიყო. ტოკავდა დედამიწა. შიში გამეფებულიყო. ჭინკებს გაემართათ ლხინი, მთელი ქორო ბოროტების დიდებას გალობდა.“

ბრძოლა გამართულა საჭინკიას ღელესთან. ლხინობდა საჭინკეთი. როკავდა ეშმა. თანაბრად მიჰქონდა ღელეს ქართული და თურქული სისხლი.

„შენი თვალები რას ხედავს, საბა?“ აგერ დაჭრილი კაცი გდია, კვნესოდა და აშკარა იყო, წყალს ითხოვდა.

- ნუ გეშინია! – შესძახა საბამ და ოსმალო ხელში აყვანილი სახლში შეიყვანა. კერიასთან შემომსხდარი ჯალაბობა ფრთხილად გაიკრიფა. მათ კარგად იცოდნენ საბას ხასიათი. არაფერი მოაკლო ტყვეს. ჭრილობები თუთუნით შეუხვია. თავისებურად უმკურნალა.

„თავის სამშობლოს უნდა დავუბრუნო“, მტკიცედ გადაწყვიტა. ღამით ცხენებზე ამხედრებულებმა დატოვეს სოფელი. საბამ გაიყვანაო თურქი ტყვე.

საბა სამშვიდობოს იყო. პატარა მდინარის პირას ჩამოსხდნენ. მზიანი დღე იყო. ისვენებდა დედამიწა. მდინარე ტკბილ ხმას გამოსცემდა, თითქოს ღიღინებდა. კრიალა წყალში ჩაიხედა საბამ. თვალებმა ერთმანეთს პირდაპირ შეხედეს. გულში სიხარული იგრძნო, თვალებმა პატიოსნად შეხედეს. წახემსება დააპირეს. ამ დროს პატარა გოგონა გამოჩნდა, თურქმა მშობლიურ ენაზე რაღაც გადაულაპარაკა. თვალები სიხარულს ვეღარ მალავდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ზარბაზნების ხმა გაისმა.

- ჩემმა სამშობლომ გაიგო ჩემი გადარჩენა. საბა, ეს შენ მაჩუქე სიცოცხლე. ბავშვმა სოფელში ამბავი მიიტანა.

საბამ იცოდა ადათ-წესი თურქთა. სახლში შესვლისას კაბაზე ეამბორა თურქის დედას. წესი იყო ასეთი. ღირსეული საქციელისთვის განაჩენი გამოტანილი იყო. დიდი ზეიმი გაიმართა გადარჩენილის სახლში.

„ოქრომ თვალი არ მოგჭრას, ბაბუ!“ ზარივით რეკდა წინაპრის ხმა საბას გონებაში. თურქმა არ დაიშალა და საჩუქრად ხურჯინი ოქრო გამოატანა ქართველ ვაჟკაცს.

სამშობლოში დაბრუნებულმა საკუთარი სახლის კარის ზღურბლს არ მიუახლოვა ძვირფასი საჩუქარი. მტკიცედ გადაწყვიტა დავით გურიელისთვის წარედგინა იგი.

საოცარი შტაბეჭდილებით დარჩა საბას მეხსიერებას დავით გურიელი. კაცი ტკბილად მოუბარი, კარგი მომღერალი, სათნო და პატიოსანი.

საბა სასახლეს მიუახლოვდა და თავად დავითთან მოითხოვა შეხვედრა. დავითი მომღიმარი სახით შეხვდა საბას. გაუკვირდა კია სტუმრობის მიზეზი.

- თავადო, მე გადავარჩინე თურქი ტყვე, დაჭრილს ჭრილობები მოვუშუშე და თავის სამშობლოში დავაბრუნე. სამაგიეროდ მან არ დაიშალა და გადმომცა ეს დიდძალი განძი, მაგრამ იგი მე არ მეკუთვნის. მე ეს თქვენი სასახლის კუთვნილებად მივიჩნიე.

- საოცარი ქართველი ყოფილხარ, საბა. ქრისტეს მცნებას ისე ძლიერად გაუდგამს ფესვი შენში, რომ ამ ღირსეული საქციელისთვის გჩუქნი აზნაურობას, პატიოსანო კაცო!

- აზნაურობის ტვირთს ვერ ვზიდავ, მთავარო! ჩემი თავისუფლად ცხოვრება ამირჩევია. მადლობის მეტი რა მეთქმის.

გურიელი ისე დაატყვევა საბას დიდსულოვნებამ და ვაჟკაცობამ, აღფრთოვანება არ დაუმალავს. სათანადო პატივი არ დააკლო ღირსეულ სტუმარს და ასე მიმართა: „მაშინ მთელს შენ გვარს ვათავისუფლებ ბეგარისაგან!“ ბრძანება იყო დავით გურიელისაგან და კიდევაც აღსრულდა ეს სიტყვა.

დღესაც ამაყობს მთელი შთამომავლობა წინაპრის, საბა ლაზარეს ძე ორაგველიძის ღირსეული საქციელით და ეს სახელები გადაეცემა თაობიდან თაობებს ამ გვარში.

ტენერიფე

ნუთუ აქაც მეგრულად ლაპარაკობენ?!

ესპანეთში სახლი ვიყიდე. სამშობლოში საუკეთესო ადგილ-მამულები მაბადია. უმეტესად სამშობლოში ვარ, თუმცა მოგზაურობა მიტაცებს ხშირად და, ვერ დაგიმალავთ, ძალიან მიყვარს ცხელი ქვიშა და ზღვის სანაპირო. არც ღამით ვერიდები მანქანით გავლას. ქმარი მბორკავს, ქალმა ამგვარი თავისუფლება არ უნდა აირჩიოსო. ჰმ!.. მასწავლის ახლა ჭკუას! ეს ის დრო კი არ არის, როცა ქალს ყველა უფლება ჩამორთმეული ჰქონდა. მხოლოდ სახლში უნდა ეტრიალა. მიდი, რა, თავი დამანებეთ... ჯერ შვეიცარიაში წავედი. რა დავაშავე, ქალიშვილი რომ უცხოელს გავატანე. ჩემი დამტვრეული ინგლისურით ვაგებინებ სიძეს, რისი თქმა მინდა და, ისე მე თუ მკითხავთ, სიდედრს არც სჭირდება გაწაფული ლაპარაკი, რადგან სიდედრი ყველა ქვეყანაში სიდედრობს. რაც ნაკლებად ნახავ სიძეს, მეტი დაფასება გექნება... ვინ თქვა კიდევ ხალხი სხვადასხვანაირიაო? სხვადასხვანაირი კია, მაგრამ ადამიანური მაინც ყველგან ერთია: ტკივილი, შიმშილი, მაძღრობა, სიმდიდრისადმი ლტოლვა, შრომაში სიზარმაცე, მაგრამ იმაზე არაფერს ვიტყვი, რომ ჩვენ მაინც ყველაზე მეტად გვიჭირს ყველა ზემოთხსენებულ საკითხებში. ენა არ მჭირდება, ჩემი დაკვირვებით ვხვდები, სხვა ქვეყნებში რატომ გარბიან. ვაკეთებ შედარებას და ჩემი დასკვნა გამომაქვს. თუ ოდესმე გამოვალთ ამ უკიდურესობიდან, ღმერთს ვთხოვ, რადგან ადამიანის იმედი ნაკლებად მაქვს.

ისე, თუ ენა იცი, უცხოეთში მაინც არ დაიკარგები. მე კიდევ ალღოს დიდ გულისხმიერებას ვესესხები და ჟესტებსაც მშვენივრად ვიშველიებ, რომ გავაგებინო უცხოელს ჩემი სათქმელი.

შვეიცარიაში სეირნობა მიყვარს, მეტადრე შვილიშვილთან ერთად.

ერთ ცოლ-ქმარს, სეირნობისას რომ გავიცანი ჩემებურად, ძალიან მოვეწონეთ ბებია და შვილიშვილი. ბავშვს ფერება დაუწყეს, მე კიდევ მეგობრობა შემომთავაზეს. მეც მომეწონა მოხუცები და კარგა ხანს ვისეირნეთ ერთად. შვილიშვილიც ისე გაერთო, სახლში დაბრუნებაც აღარ მომთხოვა ტირილის ენით.

გავიხედე მარჯვნივ და რას ვხედავ: ტყემლის ხეებია ჩამწკრივებული.

- ეს ხილი მოგწონთ? – ჩემი დამტვრეული ინგლისურით ვეკითხები.

- დიახ, დიახ, ჩვენ ვიცნობთ ამ ხილს, – მიპასუხეს მოხუცებმა და დაინტერესდნენ, რას ვაკეთებდით ამ ხილისგან?! მათ მიაჩნდათ, რომ ეს იყო ხილი, რომელიც დამწიფდებოდა და კარგი იყო.

- ჩვენ კიდევ საწებელს ვამზადებთ, – ავუხსენი მოხუცებს და დავპირდი (ამის ახსნა მშვენივრად

გაგრძელება მე–11 გვ.

მეათე გვერდიდან

მოვახერხე იმ დროს), ბავშვს სასეირნოდ რომ წამოვიყვანდი, ტყემლის საწებელს მათ აუცილებლად გავასინჯებდი.

ერთმანეთს გადავეხვიეთ და დავშორდით.

ბავშვი სახლში მივიყვანე, გამზრდელს ჩავაბარე და ტყემლის დასაკრეფად სწრაფად დავბრუნდი. ხელი არავის შეუშლია, ბლომად დამეკრიფა ტყემალი. გამოვიყენე ჩვენებური სუნელები, სხვა ნედლი ბოსტნეულიც მქონდა. უგემრიელესი ტყემლის საწებელი გამომივიდა, მეგრული რეცეპტით დამზადებული. ერთი კარგი ქილა იმ დილით გაცნობილი ცოლ-ქმრისთვის გავამზადე. სახლში ძალიან გაუხარდათ: როგორ მოახერხე ერთ დღეში ტყემლის მიგნება, დაკრეფა და მისი გამზადებაო.

მეორე დილით კვლავ სასეირნოდ გამოვედი შვილიშვილთან ერთად.

ცოლ-ქმარი სიხარულით შემეგება. ბავშვს მიუალერსეს, თბილად მომიკითხეს და მეც გადავეცი ჩემი დამზადებული საწებლით სავსე ქილა. დიდი მადლობა გადამიხადეს. ერთჯერადი კოვზიც თან მქონდა. მივაწოდე. გასინჯეს და გაგიჟდნენ, ძალიან კარგი რამეაო. მერე გადაწყვიტეს, მოსამსახურე გამოეშვათ, დაეკრიფათ და მათაც დაემზადებინათ ასეთივე საწებელი.

სახლში დამპატიჟეს აღფრთოვანებულებმა.

მეორე დღეს დანიშნულ ადგილას ბავშვის გარეშე შევხვდი მოხუცებს. ჩემი შვეიცარიელი მეგობრები და მე შორს არ ვცხოვრობდით ამ ადგილიდან.

აღმოვჩნდი სამსართულიან ევროპულ სახლში. შვილი დაგვიხვდა, ისიც ბავშვის გარეშე მოსულიყო დედ-მამასთან. მე გამიკვირდა. ვატყობდი, ამ ცოლ-ქმარს ჩემი შვილიშვილის დანახვა და ალერსი ძალიან უხაროდათ. ჩემს გულში ვფიქრობდი, ამ ხალხს ყველაფერი თავზესაყრელი აქვთ, მაგრამ შვილიშვილების სითბოს არიან მოკლებული-მეთქი. მათ არ ანდობენ პატარებს და განცალკევებით ზრდიან, თურმე. ჩვენ კიდევ შთამომავლობა გვასულდგმულებს და ცხოვრების აზრს გვმატებს. რას იზამ? ყველას თავისი ადათ-წესი აქვს გამომუშავებული და დამკვიდრებული. თუმცა, ჩვენთანაც ხომ შეიცვალა ბევრი რამ და დამკვიდრდა კიდეც...

ქალიშვილს ჩემი თავი დიდი პატივით წარუდგინეს. ისიც აღფრთოვანებული აღმოჩნდა ჩემს მიერ დამზადებული ტყემლის საწებლით და დამეგობრება შემომთავაზა. მეც, რასაკვირველია, ძალიან გავიხარე ასეთი თბილი მიღებით და მეორე დღეს, სიძისა და ქალიშვილის თანხმობით, ჩვენთან მოვიწვიე სტუმრად.

- დედა, ე. ი. ძლიან კმაყოფილი ხარ შენს დამეგობრებულ ხალხთან სტუმრობით? – მკითხა ქალიშვილმა.

- ძალიან, ეს რა კარგი ხალხი ყოფილა, – ვუპასუხე.

- ჰოდა, ახლა, შენც შენებური სუფრა გაუშალე! – ასე გამოხატა ქალიშვილმა თანხმობა და მეც შევუდექი სამზადისს.

შვეიცარიელ სიძესთან დაბრკოლება თითქმის, არ მქონია, დედას მეძახის.

სტუმრები დანიშნულ დროს მეწვივნენ და ოჯახის წევრებმაც ძალიან გაიხარეს. ტყემლის საწებლით და ჩვენებური აჯიკით სულ მოიხიბლნენ. მჭადი გამოვაცხვე, თევზი, წიწილები შევწვი. მერე ცალკე ლიმონის საწებელი გავასინჯე და, მოკლედ, მშვენიერი სადღეგრძელოებით დავამშვენეთ ჩვენებური სუფრის ეშხი.

- მე თქვენ ძალიან მომეწონეთ, ქალბატონო მზია!

- მეც ასევე, ჩემო მეგობარო! – მივუგე მე.

- იცით, რას გთავაზობთ, ქალბატონო მზია? თქვენი დაპატიჟება მინდა ტენერიფეს კუნძულზე. იქ ძალიან ბევრი მეგობარი მყავს. ისიამოვნებთ.

- დიახ, ამ კუნძულზე, სიმართლე გითხრათ, ნამყოფი არ ვარ. დიდი სიამოვნებით წამოვალ. ვიცი, იქ თვითმფრინავით გადავფრინდებით და დავტკბებით ახალი სანახაობით.

საუბარში ისე გავერთეთ, უკვე შინაურებს ვგავდით.

სამ დღეში უკვე ბილეთი ხელთ გვქონდა და ასე დავფრინდით ტენერიფეს კუნძულზე.

საქართველო გამახსენდა. დასავლეთი, ბათუმი. მერე დაკარგული აფხაზეთი (ეს რა გავიფიქრე, ღმერთმა ნუ დაგვიკარგოს), მისი ლანდშაფტი. მარადმწვანე ხეები, ბანანი, მსხმოიარე პალმები, ულევი ხილი და სუფთად ზღვის ლურჯ ფერებში შერეული ბუნებრივი სიმწვანის ანარეკლი. სამშობლო დამიდგა თვალწინ. გაიელვა ბავშვობამ. მამით ხევსური, დედით მეგრელი. ორთავე კუთხე ერთნაირი სიყვარულით და მზრუნველობით მზრდიდა. მერე გაჭირვების წლები. შვილების დაზრდა. დიდი ქალური ტვირთი. ცხოვრებისთვის ბრძოლა. მისი გადარჩენისთვის ღონის მოკრება და ღმერთის წყალობა... გამახსენდა ბებიაჩემის ჩუმი ლოცვები. მის მიერ მკაცრად შენახული მარხვა, ნამდვილად მისი ლოცვები მშველოდა ყოველთვის. ასე ვფიქრობდი. ეს ფიქრები წამომეწია და თავს არ მანებებდა, როცა მე და ჩემი მეგობარი ქუჩაში ვსეირნობდით. ჩვენ ჩვენი ფიქრები წაგვიღებდა და სადღაც მიგვლეკავდა, მაგრამ ჩემგან განსხვავებით, დარწმუნებული ვარ, ნეტარებასა და ფუფუნებაში გაზრდილი, მშვიდობიანი ქვეყნის შვილი ტკბებოდა ტენერიფეს ლამაზი ხედებით. მეც ასევე უზრუნველი ვეგონე. თუმცა უამრავი დარდი გამომყვა ჩვენი ქვეყნისა. რომელი ვიდარდო, ხერხემალში გადამტვრეული სამეგრელო თუ მიტოვებული ხევსურეთი. არ მინდა შეიბღალოს ხევსურთა ადათ-წესი. „ყველამ თუ მთაი დატოვა, ვინ შეინახოს და შეინარჩუნოს მიწა-წყალი?“

თითქმის ცრემლები მაღრჩობდა. მეგობარმა მოწყენილობა შემამჩნია:

- მზია, რად დასევდიანდი?

- სამშობლო გამახსენდა. ჩვენმა ქვეყანამ დიდი ტანჯვა-წამება გადაიტანა. ჩვენი ბუნება დამიდგა თვალწინ. ეს არ გაგიკვირდეს, მეგობარო, – ვუხსნიდი მე. – ქართველები, სადაც არ უნდა წავიდეთ, მაინც სამშობლო გვენატრება და გვტკივა. ჩვენ საშინელი ომები გამოვცადეთ, შიმშილი და ახალგაზრდების ხოცვა. – თან ბოდიშს ვუხდიდი. – ჩემი განწყობა არ მინდა თავს მოგახვიოთ, პირიქით, მადლობელი ვარ, რომ აქეთკენ წამოვედით და დავტკბი აფხაზური ბუნების მსგავსი ხედებით. ამან, ყველაფერმა, ჩემი სამშობლოს ამერი და იმერი მომაგონა.

მეგობარი, შევატყვე, იზიარებდა ჩემს გულის ტკივილს და ღმერთს შეევედრა საქართველოს გადარჩენ, თან შემპირდა: „თქვენი ხალხისთვის დახმარებას გამოვაგზავნიო.“

ჩემს თვალწინ, მარჯვენა მხარეს, მაღაზიები ჩამწკრივებულიყო. თვალი მიიტაცა, რატომღაც, ნაირ-ნაირმა ფერებმა, თითქოს ფიქრებიდან გამოვყავდი. თან მეგობარს მადლობას ვუხდიდი და ასევე ვლოცავდი მის მთელ ოჯახს.

- შევიდეთ რა მაღაზიაში, მოდი, დავათვალიეროთ! ლამაზი კაბები ჩანს ვიტრინაში, – მთხოვა მეგობარმა. უეცრად სხვა ქალად გადავიქეცი, მაინც მიმიზიდა ლამაზი ფერების კაბებმა და ქსოვილებმა. ვერც კი შევამჩნიე, როგორ აღმოვჩნდით ორთავე ტენერიფეს მრავალნაირი ფერების განლაგებას შორის, რომელიც მაღაზიის შუაგულში უხვად აირეკლებოდა. მზა ტანსაცმელსა და საკაბე ქსოვილებს შორის გამყიდველი ქალი მარჯვედ ტრიალებდა და ღიმილით სთავაზობდა კლიენტს თავის საქონელს. აქვე შევნიშნე ახალგაზრდა ქალიშვილი, რომელიც ძალიან ჰგავდა გამყიდველ ქალს, ეტყობოდა, დედა-შვილი იყვნენ.

- უცხოელები ჩანან, მოეწონათ კაბები და ახლა შენ გამოელაპარაკე (უცხოებ რენა მემჩქუნ, მეწონეს კაბებქ დო ანწ სი ქუდურაგადე).

- მე ინგლისური არ ვიცი, ამათ კიდევ ესპანური არ ეცოდინებათ (მა ინგლისურ ვამიჩქ, ენეფს ესპანურ ვაჩქვენუნა), – გაეპასუხა დედა შვილს.

ჯერ გავფითრდი, მერე ჩემს მეგობარს მივუბრუნდი და ვეუბნები: ნუთუ გაჭირვებამ ჩვენი ხალხი ამ სიშორეზე გადმოაგდო? ეტყობა, აქ ადგილი იშოვეს.

- საიდან მიხვდი? – შემეკითხა შვეიცარიელი მეგობარი.

- როგორ საიდან მივხვდი? დასავლეთ საქართველოს, „კოლხეთს“ რომ ეძახიან, მეგრელები ამ ენაზე საუბრობენ და ახლა მე გამოველაპარაკები მათ:

- ხომ არ მეჩვენება, ქალბატონო, თქვენ მეგრულად ლაპარაკობთ (ხომ ვამაძირუაფ, თქვა მარგალურო რაგადანთო)?

- არავითარი მეგრული, ეს ჩვენი ენაა (მუთუნერო ვარე თენა მარგალური, ენა ჩქინ ნინა რე)!

- როგორ, თქვენ აქ დიდი ხანია ცხოვრობთ (მუჭო, თქვა თაქ დიდ ხანი რენო ცხოვრენთ)?

- ჩვენი წინაპრები ამ კუნძულზე ცხოვრობდნენ (ჩქინ ულირეფ თე კუნძუს ცხოვრენდეს). ორმოც წლამდე ყველა ფლობს ჩვენს მშობლიურ ენას (ჟარნეჩ წანაშახ არძას უჩქუ ჩქინი ნინა). ორმოცი წლის შემდეგ ახალგაზრობა ივიწყებს ჩვენს ენას (ჟარნეჩ წანაშ უკულ ახალეფ იჭყოლიდუანა ჩქინ ნინას). ჩვენს სამშობლოში ყველა ლაპარაკობს ამ ენაზე (ჩქინ დაბადონას არძა რაგადანს თე ნინაშა).

აღფრთოვანებული გადავეხვიე დედაშვილს. ისინიც გაოცებულები დარჩნენ. იქვე დატრიალდნენ, ლამაზი კაბები ამირჩიეს ჩემთვის და ჩემი მეგობრისთვის. საჩუქარიც გამოაყოლეს. უამრავი სითბო დავაფრქვიეთ ურთიერთს...

- გემშვიდობებით, ჩემო ახლობლებო (ჯგირორდათ, ჩქიმ ხურხეფი)!

- მომავალ შეხვედრამდე (ანწ ძირაფაშა)!

- ჯგირო ქორდათ!

- ჯგირო ქორდათ!

გაოგნებული და ამავდროულად გახარებული მეგობარს გადავეხვიე მაღაზიიდან გამოსვლისას.

- აქაც სამშობლო დამხვდა! — ვუთხარი გახარებულმა. მან ფიქრის საშუალება მომცა.

ნუთუ, ვინმე იტყვის: „პატარაა საქართველო?“ არა! არა! ოდესმე, მართლაც დიდი ყოფილა კოლხეთი და იბერია!

შორეული საუკუნეების იქით წამიყვანა გონებამ. მე ჩემებურად წარმოვიდგინე ანტიკური ხანის კარგად დაჯავშნული გემებით თუ როგორ გამოდიოდნენ ამ კუნძულზე კოლხთა წინაპრები. ვინ იცის, ისევ დარბეულნი, გაძარცვულნი და სიცოცხლის გადარჩენისათვის მებრძოლი და მაძიებელი ასე შეხიზვნია, ალბათ, ტენერიფეს კუნძულს... ან იქნებ სულაც აქედან იწყება მათი ფესვები...

ამას წარმოვიდგენდი? ტენერიფეს კუნძულზე მეგრულ დიალოგს გავმართავდი ტენერიფეს მკვიდრთან. „აწი ხშირად ვეწვევი ტენერიფეს“. ამ ფიქრებით დავბრუნდი შვეიცარიაში. ჩემი მეგობარიც ღრმად ჩაერთო ფიქრებში ტენერიფეს კუნძულის უცნაური შეხვედრით..

ამდენი ხანი გავიდა და კილო მეგრული არ დავიწყებულ არს.

საქართველოვ, სად არ არის გაბნეული შენი შვილები...

იზოლდა ჭიკაშვილი

***

ჩემს შვილს, გიგა ნინიკურს

მე ისევ შენზე ფიქრებით ვთბები
და ვაკოწიწებ სულის ნაფლეთებს,
როდის შევხვდებით ნაცნობ ჭადართან
და თვალებს როდის შემომაფეთებ?!

ეს უწინ იყო... წლების გადაღმა...
მოულოდნელად შევხვდით ქუჩაში,
შენ - მეგობრებთან მიქროდი ლაღი,
მე - სიყვარული მომქონდა სახლში.

მას მერე წლები გულს მიკორტნიან,
ჭადარი დგას და ებრძვის სიბერეს,
ჩვენი შეხვედრის ცოცხალი მოწმე
შენზე ოცნებებს, ფიქრებს მიბევრებს.

ეს ჩემი ლექსიც, კვლავ ვერაფერი,
დედაშვილობის ღრმა ისტერია!
ბოლო ზაფხულის ერთი საღამო -
„დიდი შეხვედრა” და ისტორია!

***

პატივისცემით, მიმა კვანტალიანის ხსოვნას

გააღეთ კარები!
გახსენით დარაბა!
უთქმელი გრძნობების პიკიდან ვეშვები,
ეგება დავცალო უღვინოდ პირსავსე
უძირო ფიალა და აზარფეშები.

რამდენი ვწერე და რამდენი ვიფიქრე,
სათქმელი ვერა და ვერ მოდგა ბაგეზე,
ვინთები,
ვიწვები,
ვქრები და ვინთები,
გული კი ლექსების წერისკენ მაქეზებს.

გავდივარ ცხოვრების უთუო ნაპირზე,
უთქმელი სიტყვები მღრღნიან
და მშაშხავენ,
ამოთქვით სათქმელი!
დაცალეთ ფიალა!
ამ სუფრის თავიდან იმ სუფრის აშლამდე!



ზურაბ მამულაშვილი

დედის ნატვრა

შვლის ნუკრივით სხარტი და
შვლის ნუკრივით მშვიდი,
ზღაპრულ ფერიასა ჰგავს
ჩვენი კოხტა ლიზი.

დედის გულის ვარდია,
გასახარი სხვისი,
ჯერ თოთო და ნაზია
სულ კალთაში გვიზის.

მამის დიდი სიცოცხლე,
თუმც ჯერ ეს არ იცის,
მინდა მუდამ სჯეროდეს
პირობის და ფიცის.

ამომავალ ცისკარს ჰგავს
ღიმილები მისი,
ბედნიერი ბავშვობა
ჩვენს საოცარ ლიზის.

თან დასდევდეს ნათება
მთვარისა და მზისი,
ღვთისმშობელი ჰფარავდეს
თავის მამულისი.

გარუნ აკოფოვი — 100



გარუნ აკოფოვი საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ხუთ ოლიმპიადას ემსახურებოდა საქართველოს სახელით.

ოჩამჩირის უნიკალურ ფეხბურთელთა მუზეუმ „ერთობას“ ალამაზებს „სპეც. სტენდი **„გარუნ აკოფოვი – 100“.**

გარუნ აკოფოვი დაიბადა 19 ოქტომბერს, 1923 წელს, თბილისში. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტები. 39 წელი (1949-1987წწ.) მუშაობდა გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ და ყოველკვირეული „ფუტბოლის“ (1960-1987) საკუთარ კორესპონდენტად საქართველოში. ჟურნალისტთა კავშირის წევრია 1958 წლიდან.

არის საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე. ღირსების ორდენის კავალერი. საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი კალათბურთში.

სპეციალურ კორესპონდენტად იყო მივლინებული ოლიმპიურ თამაშებზე რომში, ტოკიოში, მიუნხენში, მოსკოვში, ატლანტაში, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე კალათბურთში.

მის კალამს ეკუთვნის ოცზე მეტი წიგნი ფეხბურთსა და კალათბურთზე.

1997 წლიდან იყო გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ რედაქციის სპორტის განყოფილების გამგე.

100 წლის საიუბილეო ხსოვნის დღეს აღნიშნავენ ოჩამჩირლების კავშირი „ერთობა“ და „დინამო“ თბილისის ვეტერანი ფეხბურთელები, რომელსაც დაესწრებიან შვილი **არტიომ აკოფოვი** და ახლო მეგობრები. შეხვედრა ჩატარდება „ერთობის“ მუზეუმის სპეციალურ დარბაზში, სადაც მოწვეულნი არიან ვეტერანი ფეხბურთელები: **რევაზ ძოძუაშვილი, ზორბეგ ებრალიძე, მანუჩარ მაჩაიძე, ნოდარ ხიზანიშვილი, გრიგოლ ცაავა, ოთარ გაბელია, ვახტანგ ქორიძე და გია თავაძე;** ოჩამჩირის კავშირ „ერთობის“ წევრები: **თენგიზ ნორაკიძე, ლორენცო შარანგია, თამაზ ჩიქობავა, ვლადიმერ უბირია, ომარ ჟვანია, რაულ ჯანაშია, ნოდარ კობახიძე, თემურ ჩიქობავა, იურა დოჩია, ოთარ წურწუმია, დილარ კემულარია, გივი ჩხეტია, ემზარ თუნგია, ელდარ აბლოთია, ვახტანგ გოგუა, ნოდარ კემულარია, დავით ძალამიძე, ლევან ლაგვილავა, ანზორ გერგედავა, დავით ნორაკიძე, თენგიზ ნორაკიძე** (უმცრ.), **თამაზ ჩხვირკია, კაჯა მინჯია, დავით ლაგვილავა, მერაბ რუხაია.**

თენგიზ ნორაკიძე,
სპორტის ოსტატი ფეხბურთში,

თამაზ ჩიქობავა,
ვიცე-პრეზიდენტი.

თენგიზ ნორაკიძე — 87

სპორტის დამსახურებულ ოსტატს ფეხბურთში, საზოგადო მოღვაწეს, ოჩამჩირეს კავშირ „ერთობას“ პრეზიდენტს, ღირსეულ პიროვნებას, ბატონ **თენგიზ ნორაკიძეს** დაბადების 87-ე წლისთავს ულოცავენ შვილები, შვილიშვილები: მერაბი, ლალი, თენგიზი (უმცრ.); „დინამო“ თბილისის ვეტერანი ფეხბურთელები: **რევაზ ძოძუაშვილი, ზორბეგ ებრალიძე, მანუჩარ მაჩაიძე, ნოდარ ხიზანიშვილი, გრიგოლ ცაავა, ოთარ გაბელია, ვახტანგ ქორიძე და გია თავაძე, მამუკა კვარაცხელია, მამუკა აბუსერიძე და სხვები; ასევე** ოჩამჩირის კავშირ „ერთობის“ წევრები: **ლორენცო შარანგია, თამაზ ჩიქობავა, ვლადიმერ უბირია, ომარ ჟვანია, რაულ ჯანაშია, ნოდარ კობახიძე, თემურ ჩიქობავა, იურა დაჩია, ოთარ წურწუმია, დილარ კემულარია, გივი ჩხეტია, ემზარ თუნგია, ელდარ აბლოთია, ვახტანგ გოგია, ნოდარ კემულარია, დავით ძალამიძე, ლევან ლაგვილავა, ანზორ გერგედავა, დავით ნორაკიძე, თენგიზ ნორაკიძე** (უმცრ.), **თამაზ ჩხვირკია, კაჯა მინჯია, დავით ლაგვილავა, მერაბ რუხაია და სხვები.**

თამაზ ჩიქობავა,
ვიცე-პრეზიდენტი.

იგორ ახობაძე — 83

ინჟინერ მშენებელს, ოჩამჩირეს კავშირ „ერთობას“ ყოფილ წევრს **იგორ ახობაძეს** დაბადების დღის 87-ე წლისთავს აღნიშნავენ და თბილად იგონებენ ოჯახი წევრები, მეგობრები: **თენგიზ ნორაკიძე, ლორენცო შარანგია, თამაზ ჩიქობავა, ვლადიმერ უბირია, ომარ ჟვანია, რაულ ჯანაშია, ნოდარ კობახიძე, თემურ ჩიქობავა, იურა დაჩია, ოთარ წურწუმია, დილარ კემულარია, გივი ჩხეტია, ემზარ თუნგია, ელდარ აბლოთია, ვახტანგ გოგია, ნოდარ კემულარია, დავით ძალამიძე, ლევან ლაგვილავა, ანზორ გერგედავა, დავით ნორაკიძე, თენგიზ ნორაკიძე** (უმცრ.), **თამაზ ჩხვირკია, კაჯა მინჯია, დავით ლაგვილავა, მერაბ რუხაია და სხვები.**

ოჩამჩირის დაცემის დღე 29. 09. 1992 წ.

ოჩამჩირლების კავშირ „ერთობას“ წევრებმა მოიხსენიეს დაღუპული გმირები და პატივი მიაგეს მათ ხსოვნას. ისინი ყოველი წლის 29 სექტემბერს გადიან გმირთა მოედანზე და პატარა, ლამაზ ქალაქ ოჩამჩირის გმირებს კიდევ ერთხელ იხსენებენ და სანთელს უნთებენ მათ ხსოვნას. ასე იყო წელსაც, 29 სექტემბერს. „გმირთა მოედანზე გადაღებულ ფოტოს მალე ოჩამჩირეში ჩავიტანთ“, - ამბობენ ისინი.

სურათზე არიან სხვადასხვა პროფესიის ოჩამჩირლები: **თენგიზ ნორაკიძე, რაულ ჯანაშია, ნოდარ კობახიძე, გივი ჩხეტია, ომარ ჟვანია, გია შანავა, დანიელ მიქავა, როლანდ შენგელია.**

გამოხმაურება-მწერლისა და მეცნიერის ბატონ თამაზ ქვლივიძის წიგნზე, სახელწოდებით- წუთისოფლის წიგნი, რომელიც გამოიცა 2021წ. გამომცემლობა ,,ბერიკას“ მიერ

ეს წიგნი თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ძალიან დიდი შენაძენია ქართული ლიტერატურისათვის და მწერლობისათვის.

წიგნის დასაწყისში ვრცლად ასახულია მწერალ **თამაზ ქვლივიძის** ბიოგრაფიული მონაცემები, საქველმოქმედო საქმიანობები, მისი მოსაზრებები საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ. სამეცნიერო მიღწევები, მომავლის სასიკეთო მიზნები და ა.შ.

ამის შემდეგ ავტორს ნახსენები ჰყავს საქართველოს მეფეთ-მეფე დავით IV აღმაშენებელი და აღნიშნავს მისი დამსახურების შესახებ. თან გვთავაზობს მისი ძეგლის დადგმას დედაქალაქში გმირთა მოედანზე. მე, მის ამ შემოთავაზებას მთელი გულით და სულით მაქსიმალურად ვეთანხმები. ამ ამბავმა მარტოხელა კაცს გამახსენა ერთი მნიშვნელოვანი რამ, რომ მეფე დავითის პერიოდში ჩემი ერთ-ერთი დიდი წინაპარი **აბულელი** გახლდათ სამცხე - ჯავახეთის მთავარი, რომელიც იყო მეფის მარჯვენა ხელი. ეს მართლაც ეროვნული საქმეა.

ზემოთ აღნიშნულის შემდეგ დაბეჭდილია **თამაზ ქვლივიძის** მიერ დაწერილი პოემა, სათაურით -მადლიანი. ეს პოემა თავისუფლად და ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ მეორე ვეფხისტყაოსანია. მართალია, იგი იმდენ სტროფებს არ შეიცავს, როგორც ვეფხისტყაოსანი, მაგრამ ისე მრავალმხრივად გადმოცემს შინაარსით ცხოვრებისეულ მომენტებს და მასთან ერთად პოემის ყველა სტრიქონი, თითოეულ სტროფში ზუსტად-ვეფხისტყაოსანივით არის გარითმული; ამ ყველაფრის გამო, აღნიშნული პოემა ძალიან საინტერესო და სასიამოვნო წასაკითხია;....

კეთილი ნებით-საქართველოს მთავრობა თუ გაითვალისწინებს **თამაზ ქვლივიძის** მოსაზრებებს: ქვეყნის სხვადასხვა დარგების განვითარების ამბავში, დარწმუნებული ვარ ეს ყოველივე დიდ წარმატებებს მოუტანს ჩვენს ქვეყანას.

პატივისცემით და კეთილი სურვილებით:
ივანე ჯავახიშვილის სახელობის გარდაბნის
მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელი,
მწერალი, პუბლიცისტი და იურისტი
იოვანე აბულაშვილი-ბებაბუშვილი.

პროფესორ ნუგზარ იოსების ძე წერეთლის ბიოგრაფიული ცნობები

დაიბადა 1956 წლის 28 იანვარს, ჭიათურის რაიონის სოფელ ცხრუკვეთში, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანის ოჯახში. დაწყებითი სწავლა-განათლება მიიღო ამავე სოფლის სკოლაში

1973 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის ყოფილი კომაროვის სახელობის, გაძლიერებული მათემატიკური 89-ე საშუალო სკოლა. 2 წლის განმავლობაში მუშაობდა თბილისის ყოფილი დიმიტროვის სახელობის 31-ე საავიაციო ქარხანაში რიგით თანამშრომლად. ამის შემდეგ, როგორც,სანიმუშო თანამშრომელს და დისციპლინიან ახალგაზრდას ქარხნის ხელმძღვანელობამ გაუკეთა ლიმიტი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან სწავლის გაგრძელების მიზნით. აღნიშნულ უნივერსიტეტში ჩაირიცხა 1975 წელს. 1980 წელს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეტალურგიის ფაკულტეტი დაამთავრა წარჩინებით.

შემდეგ ჩაირიცხა აღნიშნული უნივერსიტეტის ასპირანტურაში. ამ პერიოდში გაწვეულ იქნა სავალდებულო სამხედრო სამსახურში, რომლის დასრულების შემდეგაც, როგორც, კულტურულ და ზრდილობიან სამხედრო მოსამსახურეს, რომელიც მაღალი პასუხისმგებლობით ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, სამხედრო ნაწილის ხელძღვანელობამ მშობლებს წერილობითი სახით მადლობა გამოუგზავნეს. მან წარჩინებით დაამთავრა ასპირანტურაც. ხოლო 1986 წელს უკრაინაში ბრწინვალედ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1992-1993-წლებში თავის სპეციალობაში ძალიან მნიშვნელოვანი გამოგონებებით და მისი დანერგვით, სახელმწიფოს მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანა. 2003-წელს ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, რის შემდეგაც მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება.

2005 წელს დაინიშნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიებისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანად. 2007 წელს იყო ამავე უნივერსიტეტის რექტორობის კანდიდატი. მას ეკუთვნის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. ამასთან ერთად რამდენიმე წიგნის ავტორია. 2012 წელს, პროფესორ **ნუგზარ წერეთელს** მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა. 2022 წელს, 66 წლის იუბილეზე, საქართველოს კულტურისა და მწერლობის რამდენიმე წარმომადგენელმა, მას მეცნიერების ბერმუხა უწოდა. მისი ხელმძღვანელობით მრავალ ადამიანს დაცული აქვს დისერტაცია. სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა, ზემოთ აღნიშნული უნივერსიტეტის, ქიმიური ტექნოლოგიებისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანად.

სამწუხარო და გულსატკენია, რომ მიმდინარე წლის აგვისტოს დასაწყისში იგი მოულოდნელად გარდაიცვალა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მართლაც, სამართლიანი იქნება, რომ უფლის მადლით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს მიენიჭოს მისი სახელი.

გაზეთ „სახალხო განათლება+“-ს რედაქცია

მალხაზ ბენაშვილის ხსოვნა

გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება რომ 48 წლის ასაკში, გარდაიცვალა მოყვასის მოამაგე პიროვნება, პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებული, ბატონი **მალხაზ ბენაშვილი**.

სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს. მისი ნათელი ხსოვნა მუდამ იქნება ოჯახის, ახლობლებისა და მეგობრების გულებში. უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე
555 596 050
აღმასრ. რედაქტორი: ნათია გურგენიძე
593 422 258
გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი“
ს/ს 402010587
ს/ს თიბისი ბანკი:
GE 94 TB7249236080100007

რედკოლეგია
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727;
ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050;
ეკა მამუკაშვილი 599 944 592; კონსტანტინე გურგენიძე 592 777 181;
ნათია გურგენიძე 593 422 258; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705; გერმანე საზანოელი 593 022 913;
თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;
ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ვებგვერდი: saxalxoganatleba.ge
ტელ: (032) 2 99 80 00; (032) 2 98 48 07

სახალხო განათლება+ N6 (4613)
18 ოქტომბერი / 2023 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

ISSN 1987-9113